# გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 იანვარი, 2011 წელი.

№4 (6615)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## გული უნდა ავივსოთ სიყვარულით და არა სიძულვილით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას და დევნილებს, დამდეგი შობის დღესასწაული ქართულ და რუსულ ენებზე მიულოცა.

— მინდა მამაშვილური სიყვარულით მივმართო აფხაზეთის მოსახლეობას. გულითადად გილოცავთ შობა-ახალ წელს. ინებოს უფალმა, რომ ჩვენს გულშიც იშვას უფალი. ამისათვის ჩვენ უნდა გავაღოთ კარი ჩვენი გულისა და უფალი შემოვა ჩვენთან და დარჩება ჩვენთან მარადის. მე მინდა გითხრათ, რომ ის ურთიერთობა, რომელიც ისტორიულად იყო აფხაზებსა და ქართველებს შორის, დღეს დარღვეულია და იმედი მაქვს, რომ აღდგება სიყვარული, აღდგება ურთიერთგაგება და ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით. როგორც თქვენ იცით, მე ვიყავი 11 წელი აფხაზეთის ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. მე მახსენდება ის ბედნიერი წლები და დღეები, როცა ჩვენ სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს და მრავალი აფხაზი მეავს



მე ნათლული. მინდა გაგახსენოთ, რომ ჩვენთან შეიქმნა უკვე ტრადიცია, შობის ღამეს ფანჯარაში ვდგამთ ანთებულ სანთელს და ამით ჩვენ ვეპატიჟებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ შემოვიდეს ჩვენს სახლებში და შობა მოხდეს ჩვენთან. როგორც თქვენ იცით სახარებიდან – სასტუმრო ვერ ნახეს ღვთისმშობელმა და მართალმა იოსებმა და ამიტომ შობა მოხდა გამოქვაბულში, სადაც თავს აფარებდა საქონელი, პირუტყვი. მე ქრისტესმიერი სიყვარულით გლოცავთ ყველას. ვლოცავ, აგრეთვე, თქვენთან ერთად დევნილებს აფხაზეთიდან და იმედი მაქვს, რომ ისინი დაბრუნდებიან თავის სახლებში. ჩვენ ღვთის მადლით მალე შევხვდებით და აღდგება ის ურთიერთსიყვარული, რომელიც არსებობდა ჩვენს შორის. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგაძლიეროთ, გაგახაროთ თქვენ და მთელი საქართველო, — ბრძანებს პატრიარქი.

ამასთან, ილია მეორემ აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობას ახალი წელი რუსულ ენაზე მიულოცა და აღნიშნა, რომ „გული უნდა ავივსოთ სიყვარულით და არა სიძულვილით“.

იხ. 2 გვ.

## სიყვარულით და მოწიწებით ულოცავენ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს

*სრულიად საქართველოს მილოცვას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-სადმი, მისი დაბადების 78-ე წლისთავთან და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენც ვუერთებთ მისდამი სიყვარულით აღსავსე გულმხურვალე ლოცვას, ვუსურვებთ დღეგრძელობასა და საქართველოს გაბრწყინებას.*

ბატონო რედაქტორო,

დღეს ელექტროფოსტით მივიღეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით განმსჭვალული წერილი ცნობილი ინგუში საზოგადო მოღვაწის ბ-ნ ასლან კოძოევისა. პატრიარქისადმი ამდაგვარი დამოკიდებულება ჩვენ მრავალგზის დაგვიდასტურებია ჩვენს მოძმე იმიერკავკასიელებში. ასეთი ორმხრივი სულისკვეთებით იყო განმსჭვალული გასული წლის ჯვართამაღლების დღეს, 27 სექტემბერს პატრიარქთან გამართული მიღება-წვეულება, რომელსაც ესწრებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა“ მონაწილე ათობით ცნობილი კავკასიელი მეცნიერი...

ინგუში მოღვაწის აღნიშნული წერილიც ამ სულისკვეთების ერთ-ერთი გამოვლენაა.

ვფიქრობ, იგი გაახარებს ჩვენთვის სიყვარულით მლოცველ ჩვენს პატრიარქს და დააინტერესებს ქართულ საზოგადოებას.

პატივისცემითა და საშობაო მილოცვით,

გივი ლამბაშიძე

„კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II

**დიდად პატივცემულო,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, უწმინდესო და უნეტარესო, ილია II!

უდიდესი, გულწრფელი სიხარულით ნება მიბოძეთ მოგილოცოთ დაბადების დღე, — საქართველოს ნათელი მოვლენა.

ასევე ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ და, თქვენი სახით, საქართველოს მთელ მართლმადიდებელ ხალხს, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული — ქრისტეშობა.

თქვენი სიბრძნე და წმინდა სიტყვა მარტო ქრისტიანთა კი არა, მთელი კავკასიის, მის საზღვრებს გარეთ ყველა კონფესიის წარმომადგენლის სულს სწვდება და გონებაში ილექება. ყოველივე ეს გულთან მისატანია ჩვენთვის, მუსლიმანებისთვისაც.

მოძმე ინგუშეთში, თქვენ მხოლოდ კი არ გცნობენ, არამედ დიდად პატივს მოგაგებენ, უყვარხართ. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმასაც, რომ ვლადიკავკაზში თქვენი ბავშვობის ხანა, სხვასთან ერთად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს ხალხთანაც. მიიღეთ დიდი ხნის სიცოცხლისა და ბედნიერების გულწრფელი სურვილი თქვენთვის, თქვენი ახლობლებისთვისა და მთელი თქვენი მრევლისთვის! დიდებულ საქართველოს კი — მარადიული კეთილდღეობა, მშვიდობა და სამოქალაქო თანხმობა!

გულწრფელი პატივისცემით და მოწიწებით,

ასლან კუაზო (კოძოევი),

„კავკასიური ცივილიზაციის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოება „Kavkasion“-ის ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

ინგუშეთის რესპუბლიკა,

2011 წლის 4 იანვარი

# ილია II: გული უნდა ავივსოთ სიყვარულით და არა სიძულვილით

(პირველი გვერდიდან)

— მინდა მივმართო აფხაზეთში მცხოვრებლებს. მე გილოცავთ ყველას, როგორც დევნილებს აფხაზეთიდან, ასევე იქ მცხოვრებ მოსახლეობას ახალ წელს და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი გულები, რომ ღმერთი შემოვიდეს ჩვენში, ჩვენ უნდა გავხსნათ ჩვენი გულები, რომ ჩვენი გულები აივსოს სიყვარულით და არა სიძულვილით. აფხაზები და ქართველები საუკუნეების განმავლობაში ერთად იყვნენ და მხარში ედგნენ ერთმანეთს.

ქართველებსა და აფხაზებს შორის სულიერი კავშირი ქართველი მეფეების ტიტულატურაშიც გამოიხატებოდა. როცა საქართველოს მეფე ამა თუ იმ დოკუმენტზე ხელს აწერდა, ტიტული იწყებოდა ასე - აფხაზეთის მეფე და ასე შემდეგ. ასე რომ, ახლა საქართველოს პატრიარქის ტიტული ასეთი იქნება - სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, მცხეთისა და თბილისის არქიეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. ვფიქრობ, რომ ჩვენი სიყვარული, რომელიც იყო ჩვენს შორის, აღდგება და ჩვენ ისევ მშვიდობასა და კეთილდღეობაში ვიცხოვრებთ, — ბრძანა საქართველოს პატრიარქმა.

ამასთან, ცალკე ქართულ და რუსულ ენაზე მიულოცა შობა-ახალი წელი ცხინვალის მოსახლეობას და რეგიონიდან დევნილებს.

— მინდა, ასევე დიდი სიყვარულით მივმართო ცხინვალის მოსახლეობას - ოსებს, ქართველებს და სხვა ერების მოსახლეობას. გილოცავთ შობა-ახალ წელს. ინებოს უფალმა, რომ ეს წელიწადი იყოს მშვიდობიანი, უხვი, რომ ჩვენი ურთიერთობა აღდგეს ისევ სიყვარულით. ჩვენი განკურნება შესაძლებელია მხოლოდ სიყვარულით. მინდა ვთქვა, რომ როგორც თქვენ იცით, მე ვარ დაბადებული და გაზრდილი ვლადიკავკაზში. ჩვენი ოჯახის მოძღვარი იყო ოსი - მამა მიხეილ ზაცოევი. მე ძალიან კარგად ვიცნობ ოსებს, ვიცნობ, როგორც ნიჭიერ ხალხს, ერთგულ ადამიანებს და იმედი მაქვს, რომ ის გაუგებრობა, რომელიც იყო ჩვენს შორის, განქარვდება, თქვენ ნიჭიერი ხალხი ბრძანდებით და გესმით ალბათ, თქვენი და ჩვენი გადარჩენა ამ გლობალიზაციის პროცესში მხოლოდ ჩვენს ერთობაშია. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და ღმერთმა ინებოს, რომ ლტოლვილები დაბრუნდნენ თავის ოჯახებში და ჩვენს შორის სუფევდეს მშვიდობა და კეთილდღეობა, — ბრძანა უწმინდესმა.

ხოლო რუსულ ენაზე მიმართვაში უწმინდესმა დასძინა, რომ ოსი და ქართველი ერი ყოველთვის ძმურად ცხოვრობდა.

— ჩვენ ისე ვცხოვრობდით, როგორც ძმები. მინდა ვთქვა, რომ ჩამოგვიყალიბდა კარგი ტრადიცია, როცა შობის ღამეს სანთელს ვანთებთ ფანჯარაში, რომ ღვთისმშობელი ჩვენთან მივიპატიჟოთ. ეს უკვე ტრადიციაა საქართველოში და ვფიქრობ, ხვალ საღამოს ავანთებთ სანთელს, ჩვენი ღრმა რწმენისა და იესო ქრისტეს მიმართ სიყვარულის ნიშნად. ღმერთმა დაგლოცოთ, — ბრძანა ილია მეორემ.

## ძალადობა

**მიხეილ სააკაშვილი დემოკრატობანას თამაშობს... მხოლოდ მაღალი ტრიბუნებიდან. არადა, მისი „დემოკრატობის“ ნამდვილი გამოვლინება იყო ა. წ. 3 იანვარს სამშობლოს ერთიანობისთვის მებრძოლ ომის ვეტერანთა აქციის დარბევა გმირთა მოედანზე. მის მონაწილეებს მხოლოდ სოციალური საკითხები ჰქონდათ წამოყენებული მთავრობის მიმართ, აქცია იყო სანქცირებული ქ. თბილისის მერიის მიერ, შესაბამისი კანონი არ დარღვეულა და მშვიდობიან ხასიათს ატარებდა.**

# მადლობა პოლიციას ჩვენი დარბევისთვის

ისმის კითხვა: რაში დასჭირდათ სამართალდამცავ სტრუქტურებს 3 იანვარს აქციის დაშლა და დარბევა. პოლიციამ დააპატიმრა 10-მდე მონაწილე, მშვიდობიან მონაწილეებზე განახორციელა ძალადობა (ერთი ქალბატონი გამეტებით სცემესძ.

4 იანვარს იქვე კვლავ გაიმართა ომის ვეტერანთა მხარდასაჭერი შეკრება; მემორიალის მოპირდაპირე მხარეს დაახლოებით 14.30 საათზე უკვე იდგა100-150 პოლიციელი. ხუთი წუთის შემდეგ ისინი დაიძრნენ და იწყეს შეჯგუფული ხალხის გარეკვა ალმართზე, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მიმართულებით. მემორიალიდან დაახლოებით 200 მეტრში პოლიციელებმა შეკრეს კორდონი, აქციის მონაწილე 100 ადამიანი დაახლოებით ორ საათამდე იმყოფებოდა ქუჩის განაპირა სკვერში და შემდეგ დაიშალნენ.

ასეთი იყო 3-4 იანვრის მოვლენები.

თუ ყოველივეს გავაანალიზებთ სხვა მრავალთან ერთად, ერთ-ერთი დასკვნა ასეთი იქნება:

საქართველო კარგა ხანია იმყოფება კრიზისში, ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში, მიშა და მისი მხარდამჭერები ჯერ კიდევ სუნთქავენ. თუმცა სუნთქავენ კი არა, შესანიშნავად გრძნობენ თავს.

პარლამენტართა „უმრავლესობა“, მთელი სახელმწიფო სისტემა, რომელიც პრეზიდენტს უჭერს მხარს, პოლიცია, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი მინისტრით, თუ სხვა უწყებათა მინისტრებით, ხომ სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები არიან.

„ასე უნდა იმოქმედო! — ეტყვის სააკაშვილი მერაბიშვილს და წვრილფეხა თუ მსხვილფეხა შემსრულებლები იწყებენ უდანაშაულო ადამიანების ცემა-ტყეპას, დაჭერებს, მკვლელობასაც კი.

ქვეყანაში პოლიციური რეჟიმია; მოსახლეობის დაშინების უამრავი მექანიზმია დამუშავებული.

ვფიქრობ, 3 იანვარს ომის ვეტერანთა დარბევაც ამ გეგმის ნაწილი იყო.

1992-1993 წლის აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანებს მოუხსნეს ყოველგვარი შეღავათები და ისინი მთავრობისგან ყურადღების მოქცევას ითხოვენ მშვიდობიანი აქციით.

მაშინ რატომ დაარბია პოლიციამ აქცია?

საქმე ის არის, რომ მთავრობის ამ ქმედებაში დევს ერთი რამ: „არ გაბედო მშიერო ხალხო, რამის მოთხოვნა (საარსებო მინიმუმისაც კიძ, თორემ მაგრად მოგხვდება!“

სააკაშვილს ეშინია სოციალური აფეთქების, და თავისი მოკლე ჭკუით სჯერა, რომ დარბევით მოათვინიერებს მშიერ ხალხს.

შიმშილი კი საქართველოში გარდაუვალია, პოლიტიკური არასტაბილურობა აშკარაა, სახელმწიფო — დანაწევრებული.

როცა 1 იანვარს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა თუ საერთოდ პენსიონერების და უმუშევართა დიდი არმია თითქმის მშიერი შეხვდა ახალ წელს... ამ დროს კარგად წაიძეიფა მიშამ და დარწმუნებული ვარ არც მისმა გუნდმა დაიკლო რამე.

ერთ-ერთმა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფმა ქალბატონმა საახალწლოდ შემდეგი საჩუქარი მიიღო: ცელოფნის პატარა პარკში ეწყო 5-6 ცალი მომცრო მანდარინი და 100-150 გრამამდე კანფეტი „კარამელი“...

ამ დროს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც ეტყობა, საახალწლოდ დაბრძენდა და გადიდკაცდა და აღარ უნდა „ვანოთ“ მოიხსენიონ, ივანე მერაბიშვილი გახდა და თავის მთელ შემადგენლობას ასეთი საახალწლო საჩუქარი უძღვნა: თეთრ მუყაოს ყუთში (დაახლოებით 40X20X20 სმ მოცულობისძ ჩაწყობილი ნაირ-ნაირი საახალწლო ნობათი, ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია თბილისის მთელი პოლიციის შემადგენლობა, და პირადი მისალოცი ბარათი თავისი ხელმოწერით: „...საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2010 წლის მარტსა და ოქტომბერში ჩატარებული გამოკითხვებით, პოლიციისადმი ნდობა საზოგადოებაში 84 პროცენტია. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2010 წლის კვლევის თანახმად, პოლიციაში კორუფციის დონით საქართველო მსოფლიო ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იყოფს ნორვეგიასა და შვეიცარიასთან ერთად (ფინეთი — 19, დანია — 2,0, ნორვეგია — 2,1, შვეიცარია — 2,1, საქართველო — 2,1, ისლანდია — 2,2, გერმანია — 2,3ძ ყველა ეს მიღწევა თითოეული თქვენგანის ყოველდღიური შრომის შედეგია, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით“.




ასე ცხოვრობენ ჩვენი სანაქებო პოლიციელები, მაღალი ხელფასით, მაღალი პრემიებით (რომელიც სამწუხაროდ, გასაიდუმლოებულიაძ, და რატომ არ შეასრულებენ წინამძღოლის ყოველგვარ ბრძანებას!

**ეთერ ხელაძე**
**პენსიონერი, სიღარიბის პროგრამაში მყოფი.**

## ვაი ჩვენს პატრონს!

# ხელისუფლება ჭამს ყველაფერს, ადამიანებსაც კი!..

### გია ყარყარაშვილი მოშიმშილე ვეტერანების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**„საქართველოს ლეგიონის“ თავმჯდომარე გია ყარყარაშვილი მოშიმშილე ვეტერანების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. განცხადების ტექსტს „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ:**

„შთამბეჭდავი სპექტაკლის მომსწრე გავხდით: ჯერ — 27 დეკემბრიდან 3 იანვრამდე კანონიერი აქციის სრული იგნორირება, შემდეგ — განაჩენი დარბევის შესახებ, სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევას რომ წააგავს, შემდეგ — ყველას შესაშინებლად და ყველას დასანახად დაჭერა-დაპატიმრება, ბრძოლაში გამარჯვებული ფიზიკურად რომ გაგისწორდება მოწინააღმდეგეს, სანამ საბოლოოდ არ დატკბება გამარჯვების ხიბლით.

განსხვავებაც არის ჩვეულებრივი ბრძოლისგან, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე წესების დაცვით იბრძვის. აქ ბრძოლა წესების გარეშე მიმდინარეობს, სადაც იარაღი ჩვეულებრივი ტელევიზიებია და მათი საინფორმაციო გამოშვებები, ხოლო ტყვიები — ამ არხებზე მომუშავე ჟურნალისტები.

შემდეგ პოლიტიკოსების ჯერი დგება. უცბად გამოძვრებიან, რათა წაქცეულებს, გაჭირვებულებს თავისი პოლიტიკური განცხადებებით და შეფასებებით საბოლოოდ გადაუარონ.

გაგიკვირდებათ და ვინ ლაპარაკობს, ზოგი დიდი კაცის „პატარა“ ძმაა, ზოგი კი — უბრალოდ „პატარა“ კაცი. თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ნაცვლად, ყველაფრის დასრულების შემდეგ ვეტერანებს მემორიალის წაბილწვას აბრალებენ, — დაახლოებით ისე, როგორც ბრძოლის ველზე ხდება: ბრძოლაში დამარცხებულს, ბრძოლის ველზე თავდადებულ მიცვალებულის უსულო ცხედრებს, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია, უცბად ათასი სახის ჭია და მწერი, ჭიაყელა და მატლი საიდანღაც გამოძვრებიან და მიესევიან როგორც ნადავლს, რათა შეურაცხყოფილად და წაბილწულად აქციონ სულ ცოტა ხნის წინათ მჩქეფარე ცოცხალი სული.

სამწუხაროდ, უფრო სწორად, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, პატივსაცემი ელჩები გარკვეული მიზეზების გამო სპექტაკლს ვერ უყურებენ და შეფასებებს არ აკეთებენ.

თუმცა ამ სპექტაკლში დადებითი პერსონაჟებიც არიან. ყველაზე უფრო დიდი მოულოდნელობა დასარბევად მოსული პატრულის ქმედება იყო. მე იქ ვიხილე კეთილშობილი და კეთილსინდისიერი თანამშრომლები, კაცთმოყვარე და ჰუმანური ადამიანები, რომლებიც ადამიანობით გამოირჩეოდნენ. თითქმის ყველა, ზუსტად ისეთი სამშობლოს ჯარისკაცები, როგორებიც 18 წლის წინათ გაგრა-ლესელიძის ბრძოლაში მინახავს, რომლებიც ჩემ ძმასთან ერთად დაეცნენ და უგზოუკვლოდ დაიკარგნენ.

მადლიერებით უნდა აღვნიშნო სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ობიექტურობა, — სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელად და სასიამოვნოდ.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოუცხადა ვეტერანებს.

კვლავ გაიმარჯვეთ. ეს უკვე მერამდენედ. გამარჯვებას გილოცავთ. ალბათ, საკუთარ ხალხზე მიღწეული თუნდაც ეს მცირედი გამარჯვება უდიდეს სიამოვნებას განიჭებთ.

არ მჯეროდა კეთილშობილების ზღაპრის. ვუთხარი აქციის დაწყებამდე მოშიმშილეებს საკუთარი აზრი, არ დამიჯერეს.

ღარიბების „აჯანყების“ მცდელობა დამარცხდა, უფრო სწორად, მათი გასაჭირის თქვენამდე მოღწევის მცდელობა, მაგრამ სიღარიბე არ დამარცხებულა. პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩა.

ღორი ადამიანისგან იმით განსხვავდება, რომ არავისზე ფიქრობს და არავის ინდობს. ჭამა უყვარს, ჭამს ყველაფერს, ჭამს ყველას მაგივრად და ყველას ულუფას, ადამიანსაც ჭამს, მისგან შეჭმული ადამიანიც მინახავს, რამდენიმე ადამიანი, თითქოს შიმშილით დამშეული ხარბად რომ შეექცევა სახეს, ყელს, კისერს, ვიდრე ბოლომდე არ გაძღება, — იმიტომაც ჰქვია ღორი. გაგრის ტყეებში ვნახე ეს. დღევანდელი დაპატიმრებულებიც იქ იყვნენ ჩემს გვერდზე და დამემოწმებიან, რომ არ ვტყუი. სიკვდილამდე გამყვება ეს ნანახი.

ადამიანიც ჭამს ადამიანს.

რა გაეწყობა. დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ვეტერანთა ერთ ჯგუფს აქციის ფორმა და ადგილი დაუწუნეს, ამავდროულად ხელისუფლებამ განაცხადა, რომ პროტესტის გამოხატვის უფლებას პატივს სცემს.

ძალიან გამიჭირდა თავშეკავება. დიდი სურვილი გამიჩნდა ამ კონსტიტუციური უფლების გამოყენების, განსაკუთრებით — მას შემდეგ, რაც გალატაკებულ, ალალმართალ ხალხს 400-ლარიანი ჯარიმები დააკისრეს. მათ გაჭირვებულ ცხოვრებას ესლა აკლდა!

ერთი თვის განმავლობაში სამართლებრივი გზით შევეცდებით, რომ ვიხსნათ თანამებრძოლები უსამართლო ხარკისგან.

გამოვიჩენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას და 10 იანვრიდან აუცილებლად შევხვდები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

მიმდინარეობს კონსულტაციები თანამებრძოლებთან, ვეტერანთა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პატრიოტულ ძალებთან, აზრსაც გავითვალისწინებ და რჩევასაც მივიღებ.

ვიფიქრებ კიდევ და შემდეგ მივიღებ სინდისის კარნახით საკუთარ გადაწყვეტილებას.

**პატივისცემით, თადარიგის გენერალ-მაიორი**
**გიორგი ყარყარაშვილი.**

# 25-სა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო...



# აღმოსავლეთის ვარსკვლავი განსაკუთრებულად კაშკაშებდა...

შობა უდიდესი მოვლენაა, დღესასწაულთა დღესასწაული. 25 დეკემბერს (ახალი სტილით – 7 იანვარს) მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს თორმეტ ქრისტიანულ დღესასწაულთაგან ერთ-ერთს – ხორციელად შობას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც წმინდა ეკლესიამ პირველსავე საუკუნეში დააწესა მოციქულთა მიერ:

„დაიმარხენით, ძმანო, დღენი სასწაულებისანი, და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, დღე ქრისტეს შობისა“;

იესო ქრისტე ქალაქ ბეთლემში ერთ პატარა გამოქვაბულში იშვა. ბეთლემი ქართულად „პურის სახლს“ ნიშნავს და, მართლაც, აქ იშვა „პური ჩვენი არსობისა“. პირველად მაცხოვრის შობა წარმართ მოგვებზე გაცხადდა. სწორედ მათ შეამჩნიეს ცაზე აღმოსავლეთის ვარსკვლავი, რომელიც განსაკუთრებულად კაშკაშებდა და მოესმათ ზეციური ხმა: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“, რაც იმის ნიშანი იყო, რომ გამოქვაბულში მხსნელი იშვა.

მოგვებმა გადაწყვიტეს, რომ მისულიყვნენ ახალშობილ იესოსთან და თაყვანი ეცათ მისთვის. შობის დღეს სამი საჩუქარი მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო როგორც მეფეს, გუნდრუკი როგორც ღმერთს და მური როგორც ადამიანს. ოქრო – რომ სიტყვა ღვთისა ყოველ ოქროზე უძვირფასესია, გუნდრუკი – ჭირშიც და ლხინშიც, სიხარულშიც და მწუხარებაშიც მუდამ სამადლობელი ძღვენი უნდა შევწიროთ უფალს, და – მური, თუ მწუხარება, ტანჯვა, სინანული და გლოვა გვექნება ჩვენი ცოდვების გამო, ეს იქნება ღვთისათვის ჩვენგან შეწირული მურიო.



ყოველ შობის დღესასწაულზე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დგება ლიტანიობა და მისივე ლოცვა-კურთხევით თითოეული მორწმუნე ადამიანი შობის ღამეს სარკმელთან სანთელს უნდა ანთებდეს და მიდგომილ ღვთისმშობელს სახლში იხმობდეს.

**„ოცდახუთსა დეკემბერსა**
**ქრისტე იშვა ბეთლემსაო**
**დააა,**
**ოჰოჰოი, ჰოი ალილოოო,**
**ჩიტი ღობეზე შემოჯდა,**
**იძახოდა ქრისტეშობას დაა,**
**ოჰოჰოი, ჰოი ალილოოო“.**

ალილო ქართული საგალობელია, რომელიც შობის წინა ღამეს სრულდება. საგალობლის სახელწოდება დაედო საფუძვლად საქართველოში საუკუნეების წინათ დამკვიდრებულ საშობაო ტრადიციას. ეს ტრადიცია საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა - შობა დღეს ხალხი კარდაკარ დადიოდა და შესაწირს აგროვებდა, რომელსაც შემდეგ გაჭირვებულებს გადასცემდა.

ჩვენში ალილოს ტრადიცია დავიწყებული იყო, თუმცა 90-იან წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ აღორძინდა. ყოველი წლის შობა დღეს, სადღესასწაულო ლიტურგიის დამთავრების შემდეგ, მრევლი გალობით უერთდება ალილოს საზეიმო მსვლელობას.

მსვლელობას წინ სამღვდელოება მიუძღვის და შობის ხატს, საწინამძღვრო ჯვრებს და დროშებს მიაბრძანებს. მათ მგალობლები და მორწმუნეები მიჰყვებიან და გზადაგზა შესაწირს აგროვებენ. გალობით მიმავალ მრევლს გამვლელებიც უერთდებიან. მსვლელობა სამების საკათედრო ტაძარში სრულდება, სადაც შეკრებილ მრევლს შობის დღესასწაულს კათოლიკოს-პატრიარქი ულოცავს და ლოცვას აღავლენს.

## აკაკი წერეთელი

## შობა

აღმოსავლეთით გამოჩნდა
ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა,“
ჯერ უნახველი კაცთაგან,
უცნაურ სხივოსნობისა!

გაჭკვირდენ ვარსკვლავთ მრიცხველნი,
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვებმა
და იგრძნეს უფლის მონება.

ჭფიქრობდნენ ქვეყნის მპყრობელის
ამ ქვეყნად დაბადებასა;
თან მიჰყვნენ ვარსკვლავს მიმავალს,
ჭგალობდნენ ქებათ-ქებასა.

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სხივები დაჭფინა,
სთქვეს მოგზაურთა: „აქ არის
ახალშობილის, სჩანს, ბინა!“

შევიდენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ყრმა;
ნაცვლად „მზე შინას“ ისმოდა
ანგელოზთ საამური ხმა!

ხედავენ ღარიბ სახვევში...
არსად სჩანს ხოჭიჭ-აკვანი!..
დაემხვნენ მის-წინ მორჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.

ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალშობილსა,
და უგალობდენ სიმდაბლით
საგალობელსა წყობილსა.

„დიდება ყოვლის შემოქმედს!
დიდება მისა მცნებასა!..
დიდება ქვეყნად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა!..“

1890

# სად როგორ აღნიშნავენ შობას სხვა ქვეყნებში?

საზოგადოდ **ამერიკელები** გემრიელი კერძების დასაგემოვნებლად ოჯახში ერთად ხვდებიან. ყველას აქვს ლამაზად მორთული ნაძვის ხე, საჩუქრები და შობასთან დაკავშირებული სხვა წვრილმანი.

ყველაზე მეტად საშობაო ფაციფუცი სუპერმარკეტებში იგრძნობა. ეს არის დიდი ფასდაკლებებისა და გამალებული ვაჭრობის პერიოდი. მზრუნველი ამერიკელები (რომელთაც დაზოგვა ყველაფერს ურჩევნიათ), ოჯახის წევრებისთვის იძენენ არა მხოლოდ საშობაო საჩუქრებს, არამედ – ყველაფერს, რაც კი სასურველად და ხელმისაწვდომად ეჩვენებათ. ის, რაც ქართულ და ამერიკულ შობას განასხვავებს, გარე დეკორაციებით მორთული სახლებია. აქ ბევრგან ნახავთ თოვლის პაპას, ფერადი ნათურებით განათებულ შესასვლელებს, ანდა საშობაო თოჯინებს.

**პორტუგალიაში** ყველა ერთიანდება მაგიდის გარშემო. შობა ოჯახური დღესასწაულია. „წმინდა ვახშამზე“ პორტუგალიელები სხვადასხვა თევზეულისგან ამზადებენ კერძს „ცონსოადა“ და ტრადიციულად, აცხობენ ტორტს, რომლის გულშიც პატარა საჩუქარს დებენ... ვისაც ეს საჩუქარი შეხვდება, ვალდებულია მომავალ შობას თვითონ გამოაცხოს ასეთივე ტორტი...

**საბერძნეთში** ბავშვები ოჯახებში დადიან და მღერიან „კალანდას“, როგორც საქართველოში ,,ალილოს,“ სანაცვლოდ კი ტკბილეულს იღებენ. უფროსები იცავენ წინა საშობაო მარხვას, რომლის დროსაც მიირთმევენ სპეციალურ პურს „christopsomo“ – „ქრისტეს პური“. ბერძნებისთვის ტიპურ საშობაო საჭმელს „vasilopita“ – ტკბილი საჭმელი წარმოადგენს.

**დიდ ბრიტანეთში** შობას 596 წლიდან ზეიმობენ, როდესაც წმ. ავგუსტინ კენტემბესინსკიმ დაიწყო მისი აღნიშვნა. მან შემოიტანა დღესასწაულზე ხის მორთვისა და თოვლის პაპის ტრადიციაც...შობა აქაც ოჯახური დღესასწაულია, სადაც ყოველწლიურ საშობაო ვახშამზე, ტრადიციულად „plum-pudding“-ს მიირთმევენ.

საშობაოდ **პრაღაში** ბევრგან ეწყობა თევზის სახელდახელო ბაზრობები, სადაც ცოცხალ, უზარმაზარ კობრებს ჰყიდიან. კილოგრამი 80-მდე კრონი, ანუ დაახლოებით 4,5 დოლარი ღირს. თუ დამატებით 40 კრონსაც გადაიხდით, იქვე გამოშიგნავენ და გაასუფთავებენ ლაყუჩების, ქერცლისა და სხვა უვარგისი ნაწილებისგან.

საშობაო სუფრაზე ჩეხებისთვის თევზი ქრისტეს სიმბოლური სახეა. თევზი – სიუხვის უძველესი სიმბოლო და ქრისტიანობის ეზოთერული ფორმულაა. როდესაც დევნილ ქრისტიანებს ხალხმრავალ ადგილებში სურდათ ერთმანეთისათვის მიენიშნებინათ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, თევზს დახატავდნენ ხოლმე. ბერძნული სიტყვა „იხთის“ (თევზი), რომელიც ხუთი ასოსაგან შედგება, წარმოადგენს შემდეგი ფრაზის აბრევიატურას: „იისუს ხრისტოს თეოს იმონ სოტირ“, რაც ნიშნავს „იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მაცხოვარი“.

**იტალიელები** ყოველ შობას ოჯახში იკრიბებიან. ზოგ მხარეში მიირთმევენ შემწვარ ვირთევზას ან ქორჭილას და თეთრ ღვინოს აყოლებენ.

ტრადიციის მიხედვით ბევრი იტალიელი ამ დღეს ფანჯრიდან ისვრის მოძველებულ ნივთებს, რათა დაემშვიდობოს უსიამოვნებებს, რომლებიც შეხვდა წინა წლის განმავლობაში.

საშობაო მენიუ ასეთი გახლავთ: ბულიონიანი პელმენები, ფარშირებული ხორცი, ტკბილი ფუნთუშები ან მილანური კულიჩი.

კიდევ ერთი ტრადიცია: პატარ-პატარა ბაზრობები, რას არ ნახავთ აქ – უამრავ ხელნაკეთ სათამაშოს, მცირე ზომის სტატუეტებს, საოცარი ფორმისა და ფერის სანთლებს, ტკბილეულს, გამხმარი ყვავილებისგან დამზადებულ გვირგვინებს, ფერად-ფერად ბაფთებს, სახლისა და ნაძვის ხის მოსართავ ატრიბუტებს...

საჩუქრებს 3-4 კვირით ადრე ყიდულობენ. საშობაო სუფრაზე განსაკუთრებული დესერტია ქიშმიშიანი ნამცხვარი, ასევე – საშობაო ნამცხვარი „პანდორო“. სპეციალური სამხრეთული ტკბილეულობა კი „შტრუფოლია“.

მხოლოდ იტალიაში საშობაო პერიოდი 7 სხვადასხვა ზეიმისგან შედგება. ნაძვის ხე ირთვება საშობაო ატრიბუტებით და იესოს მინიატიურული გამოსახულებებით. ნაძვის ხეს სპეციალურ ვარსკვლავსაც ადგამენ. საშობაოდ ცენტრალური ადგილი მისაღებ ოთახში დადგმულ იესოს დაბადების ფიგურებით გადმოცემულ სცენას „კრიპეს“ უკავია, XII საუკუნეში მეფე ფრანჩესკომ იერუსალიმში ის ბაგა მოინახულა, სადაც იესო დაიბადა. მას მოუნდა თავის სამშობლოში ხალხისთვის იესოს დაბადების ადგილი ეჩვენებინა და მსგავსი ბაგა დაამზადებინა. მას შემდეგ შობის დღეს „კრიპე“ არ შეიძლება აკლდეს მისაღებ ოთახს.

**ნაკლებად ტრადიციულია** შობის დღესასწაული **იაპონელებისთვის,** რადგან მათთან მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტია ქრისტიანი. არც რაიმე განსაკუთრებულ კერძს ამზადებენ, უბრალოდ, დიდი რაოდენობით მიირთმევენ ე. წ. მფრინავ თევზს, რომელსაც ზოგადად, სადღესასწაულო სუფრისთვის აკეთებენ. ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებიდან მაღაზიები საშობაო ნივთებითა და სამკაულებით ირთვება, მაგრამ მათ უფრო კომერციული დატვირთვა აქვთ.

**გერმანიაში** შობის სუფრაზე, ძირითადად, ხორცი, სოსისი და ტრადიციული ლუდია, თუმცა, აქვთ ტკბილეულიც, მათ შორის, „Dresdner Stollen“-ი.

**პოლონეთში** შობა წლის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია. პოლონელები სპეციალურ საშობაო ლექსებს სწავლობენ და მღერიან, რომლებსაც „კოლგდი“ ეწოდება. საშობაო სუფრა კი ყოველთვის ერთით მეტ ადამიანზეა გათვლილი. ერთი ცარიელი სკამი მაგიდასთან ყოველთვის დგას. სიმბოლურად რომ იფიქრონ მათზე, ვისაც სახლი არ აქვს.

სადილის შემდეგ თოვლის პაპა მოდის და საჩუქრებს არიგებს. ზუსტად 24 საათზე პოლონელები ეკლესიაში მიდიან და მადლობას უხდიან ღმერთს ლამაზი დღესასწაულისთვის. მეორე დღეს პოლონელები ნათესავებს სტუმრობენ. თუ საშობაო სუფრაზე რომელიმე კერძი ბოლომდე შეუჭმელი დარჩება, ეს მასპინძლის შეურაცხყოფა და უზრდელობაა.

**ინდოეთის** სხვადასხვა რეგიონში, შობა განსხვავებულად აღინიშნება. ნაძვის ხის ნაცვლად, იქ მანგოს ან ბანანის ხეს რთავენ და შენობებს მანგოს რტოებითა და პატარა ფარნებით ალამაზებენ... ალამაზებენ ეკლესიებსაც...ყოველ ტაძარში, მთელი შობის განმავლობაში, იწვის საშობაო სანთელი...

შობა **ჩინეთში** არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ სახელმწიფო დღესასწაულადაც არის აღიარებული. ქრისტიანი ბავშვები ხეებს ფერადი ორნამენტებით, ქაღალდისაგან გაკეთებული ყვავილებით და ფორმებით რთავენ, კედლებზე კი, საჩუქრების მოლოდინით, კიდებენ წინდებს...

ჩინელებისთვის ნაძვის ხე – სინათლის ხეა, სანტა კლაუსი კი – „ბაბუა შობა“.

**იამაიკაზე** შობისთვის მზადება სახლის დალაგებით იწყება. იამაიკაზე თოვლი არ მოდის, მაგრამ ღებავენ და ხატავენ კედლებს, ალამაზებენ ბუჩქებს, აცხობენ უამრავ პატარა ტორტს და პუდინგს... შობამდე ერთი-ორი დღით ადრე კლავენ ღორს ან თხას და ხორცს მეზობლებს ურიგებენ, რომლებიც სანაცვლოდ, ხილს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქტს აძლევენ ხოლმე...

ეკლესიებში, ტარდება ტრადიციული წირვა და ხანდახან საკონცერტო პროგრამას წარმოადგენენ.

დღესასწაულის დღეებში, იამაიკელებიც ბევრ ბოსტნეულთან ერთად, იხვს, შაშხს, წიწილას, ინდაურს, და განსაკუთრებულ ტორტებს მიირთმევენ...

მოამზადა
**ნატა ნიბლაძე**

◉ ენერგოშემცველთა მარშრუტები

# გაზის მილსადენთა დაუსწრებელი „ომი“

**გაზსადენ „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, პირველ ყოვლისა, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ. რამდენიმე ხნის წინათ „ნაბუკოს“ თაობაზე თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ხელმოწერილი სამთავრობათშორისო შეთანხმების შემდგომ გაცხადდა, რომ პროექტში სატრანზიტო ქვეყნის სტატუსით მონაწილეობისთვის მისაღები გაზის კვოტა მასზე საქართველოს მოთხოვნილებას, უსწრაფესი ტემპით მზარდი ტურისტული ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი, სრულად დააკმაყოფილებს.**

პროექტ „ნაბუკოს“ სრული მოცულობით ფრთაშესხმის შემთხვევაში (რომლის განხორციელების გზაზე მრავალი საკმაოდ რთული წინააღმდეგობაა, რომელთაგან ზოგიერთის თაობაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკიძ, საქართველო თავის წილ კუთვნილ გაზს ფორმულით „5+5 მიიღებს. მოყვანილი ფორმულის შინაარსი ის არის, რომ გაზსადენით წლიურად ტრანსპორტირებული მთელი გაზის მოცულობის 5 პროცენტს საქართველო ტრანზიტის საფასურად მიიღებს, ხოლო კიდევ 5 პროცენტს – შეღავათიან ფასად.

აღნიშნულთან დაკავშირებით წინა პლანზე წამოიწია შავიზღვისპირეთის შორიახლოს თხევადი გაზის შესანახის მშენებლობის საკითხმა, საიდანაც თურქმენეთისა და აზერბაიჯანის გაზს ევროპაში გაიტანენ. თქმა არ უნდა – „ნაბუკოს“ პროექტის განხორცხიელება საქართველოსთვის, საკუთარი ენერგეტიკული უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლების, ეკონომიკური მოგების, დასაქმების დონის აწევისა და არაერთი სხვა მომენტის გარდა, ძალიან დიდი სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რაც, ცხადია, პირველ ყოვლისა, რუსეთს აღიზიანებს. მით უმეტეს, რომ, „ნაბუკოს“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მზადყოფნა გამოთქვეს ნატოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელებმა იმის მიუხედავად, რომ მილსადენით გაზის ტრანსპორტირების რეგიონი ალიანსის პასუხისმგებლობის ზონის მიღმაა.

„ნაბუკოში“ მონაწილეთა წინაშე, მით უმეტეს, ახლანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, რომლის რეციდივს სპეციალისტები ევროპაში გაისად ვარაუდობენ, თანხების მოზიდვის საკითხიც დგას. ამასთან, იმის გარდა, რომ ევროპის ბაზრებზე საკუთარი გაზის მიწოდების თავის გეგმები აქვს რუსეთს, რომელთაგან ზოგიერთის განხორციელება უკვე დაწყებულიცაა, თავიანთი გეგმები როგორც გაზის მნიშვნელოვანი რესურსების მქონე, ისე მის მომხმარებელ მთელ რიგ ქვეყნებსაც აქვთ, რაც ამ ენერგოშემცველის ნაკადს ისევ ევროპის ბაზრებისკენ, ანდა, სულაც, სხვა მიმართულებით, აღმოსავლეთით მიმართავს. რეალურად ასეთი პერსპექტივა გაჩნდა, მაგალითად, ყაზახეთსა და ჩინეთს შორის მიღწეული შეთანხმების შემდგომ, რომლითაც ჩინეთის უზარმაზარი ბაზარი და უსწრაფესი ტემპით მზარდი ეკონომიკა იაფიან ყაზახურ გაზს მიიღებს. ცოტა ხნის წინათ „ნაბუკოს“ კიდევ ერთი, თუმცა, ერთგვარად, „არაპირდაპირი“ მეტოქე გამოუჩნდა. კერძოდ, თურქმენეთი, ავღანეთი, პაკისტანი და ინდოეთი (თაპიძ ახალი მილსადენის მშენებლობაზე შეთანხმდნენ და, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მისი განხორციელების მთლად სულის ჩამდგმელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში აქტიური მომხრეა რუსეთი. ამის მიზეზი სავსებით გამჭვირვალეა – „თაფის“ განხორციელება თურქმენეთს „ნაბუკოსთვის“ გაზის მიწოდებაზე ხელი აალებინოს, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით უნდა განხორციელდეს. თუმცა ერთი კია: „თაფის“ პროექტის ფრთაშესხმის ვადები, ტრანზიტის ტარიფები, ასევე დაფინანსებისა და სხვა პირობები ჯერჯერობით ან დაუდგენელია, ანდა არ ცხადდება.

ამასთან „თაფის“ პროექტის რეალიზაციას, მართალია, რუსეთის სახით მძლავრი „ზურგი “ აქვს, მაგრამ ავღანეთში შიდაპოლიტიკური არეულობის, ფაქტობრივად, კი სამოქალაქო დაპირისპირების გამო, მას განხორციელების შანსები ნაკლებად აქვს. საერთოდ კი „თაფის“ პროექტის ფრთაშესხმა რუსეთს იმადაც აწყობს, რომ თავად კარგა ხანია თურქმენეთის გაზს არ ყიდულობს, რაც თურქმენეთის აღფრთოვანებას – შემოსავლის შემცირების გამო – ნამდვილად არ იწვევს და, ამდენად, რუსეთს მისი გულის მოგების კარგ საშუალებას აძლევს.

ასეა თუ ისე, წინასწარი შეთანხმებით, 2015 წლისთვის „თაფის“ 1700-კილომეტრიანი მილსადენით ავღანეთის, პაკისტანისა და ინდოეთის ბაზრებს 33 მილიარდი კუბმეტრი თურქმენეთის დოვლათებადის საბადოს გაზის მიწოდებაა ნავარაუდევი, რომლისგანაც 5 მილიარდს ავღანეთი, დანარჩენს კი თანაბრად ინდოეთი და პაკისტანი მიიღებენ. თავად პროექტი კი 4 მილიარდი დოლარი დაჯდება.

**ოთარ ტურაბელიძე**




◉ ვაი ჩვენს პატრონს!



# მეტი რა ქნას მიშამ?

## რით გვისინჯავენ უკბილოთ კბილებს!

**ამ ახალ წელსაც ჯიგრიანად შეუბერა მიშამ. თურმე მართლაც ჭურში ვზივართ, ვერაფერს ვხედავთ! არადა, რა წარმატებები გვქონია, ეკონომიკის ზრდის რა მასშტაბები... გზები, გზები და გზები, ნუღა იტყვით. შუქი ხომ გვაქვს, მერე რა ფასად, წყალიც გვაქვს, თან ისეთი, ცეცხლი რომ უკიდია! რაც მთავარია, ტურიზმი ყვავის...**

კი, გაჭირვებულებიც გვყავანაო, როგორც იქნა, აღიარა. უმუშევრებიცო, სხვათა შორის თქვა. ჩვენთან ნეტავ თუ მუშაობს ვინმე? აგერ, რუსთავში, ერთი ცემენტის ქარხანა მუშაობდა და ისიც გააჩერეს. საპონი რომაა, ისიც გარედან, უცხოეთიდან შემოგვაქვს, სოფელი დაქცეულია, საყანეები არ იხვნება და მაინც წარმატებულნი ვყოფილვართ.

ამ ერთ ციცქნა ქვეყანას, ტურიზმის გარდა არაფერი რომ არ ადარდებს და 4-მილიარდიანი ვალი აქვს, რომლის დაფარვა ძვირზე ძვირი დაუჯდება ჩვენს მომავალ თაობებსაც, მიშამ, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ბათუმიდან დიდი ზარ-ზეიმით მოგვილოცა ახალი წელი, თან დაგვაიმედა, ეს ახალი წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნებაო! მაშ, თუ დღეს ერთ მდიდარზე 14 თუ 15 ღატაკი მოდის, დიდი ამბავი. ჯერ სად ხართ, შიმშილი ამ ნაახალწლევს რომ დაიწყება აი, მერე იკითხეთ.

ჩვენებური კაცის ამბავი ხომ იცით, ოღონდ ახალ წელს, მამაპაპურად თუ არა, რაღაც-რაღაცით გაწყობილი დიდი სუფრით მაინც შეხვდეს, ტრადიციას არ უღალატებს, ამ ერთ დღეს მაინც გაიხაროს, გაახალისოს ოჯახი და...

აგერ, ერთი ჩემი ნაცნობი ბანკში დარბოდა, სამი თვის პენსია წინასწარ უნდა ავიღო როგორმე, სამაგიეროდ ერთი თვის კი დამატოვებინეს, მაგრამ, აბა, რა ვქნა, ახალ წელს ხომ უნდა შევხვდეო. მაგრამ მე ისეთებიც ვიცი, თანაც მრავალრიცხოვანი ოჯახი, ყველისა და პურის გარდა არაფერი რომ არ აბადია და მეზობლებმა, ასე თუ ისე, წაუკრეს ხელი.

ეჰ, რა აზრი აქვს წუწუნს, არადა, კალამი სხვა რამის სათქმელად მოვიმარჯვე, მიხეილ ნიკოლაევიჩმაო, რუს პოლიტოლოგს დავესესხე, მარტო შარშან 20 მილიონი დოლარი დახარჯაო უცხოური მედიის მოსასყიდადო. აკი კიდევაც აქეს და ადიდეს მიშა და მისი ხელისუფლება, ლამის ჩვენც დავიჯერეთ, მართლაც მაგრები ვყოფილვართო, მაგრამ მოჩხირკედელავეებს რა გამოლევს, ეგერ, რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაციამ პირდაპირ მოგვახალა, 103-ე ქვეყანა ხართ დემოკრატიული განვითარების მხრივ, აი ბუტანი რომაა (ეს ბუტანი მაინც საიდან გამოტყვრაძ, ისიც გისწრებთო, თორემ მოზამბიკი, უგანდა, ტანზანია, კამბოჯა და კიდევ ვიღაცები რომ გვისწრებენ და ჩვენზე უკეთესი დემოკრატები რომ ყოფილან, ამაზე მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა განა იქნება?

არადა, რა ქნას მიშამ, ის 20 მილიონი ხომ მიაშავა უცხოურ მედიას, აქ, შინ კიდევ თავის ჯიბის ტელევიზიებსაც უნდა ჩაუჯიბოს, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდში რაღაც 50 მილიონი აქვს, ჰოდა, ამ ერთი ციცქნა, დამშეულ-გაღატაკებული ქვეყნის ბიუჯეტი ამდენს ვერ გასწვდა, თან თვითონაც ხომ უნდა იფრინოს. ყველას ვერ მოისყიდი. არადა, როგორია – ხარ აყვავებული, წარმატებული, საზღაპრო ქვეყნის პრეზიდენტი და ერთბაშად 103-ე ადგილზე მოგისვრიან, სადღაც მუტანის მეზობლად, რომელიც, ღმერთმა უწყის, არის თუ არა სახელმწიფო.

მერედა, ეს ქვეყანა, ამ ოციოდე წლის წინათ მართლაც რომ ყვაოდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკას შორის ყველაზე მდიდარი, წელში გამართული, ამაყი რომ იყო, ასეთი რა მოხდა, რა ჭირი გეტაკათო, იკითხავენ იქ, უცხოეთში, პასუხი ხომ უნდა გასცე, აუხსნა, რომ ხელისუფლება არ გვყავს, პრემიერი გილაური რომაა, ეკონომიკის რამე რომ გაეგებოდეს, საჯაროდ როგორ იტყოდა, ეკონომიკა ვითარდებაო, ან სოფლის მეურნეობის მინისტრი რომ ჰქვია და სოფლად რა ხდება, წარმოდგენა არა აქვს, მაინც წარმატებულნი ვართო, რომ გაიძახის, არაფერს ვამბობ პირმშვენიერ ქობალიაზე, ეს ქალბატონი, მგონი, საერთოდ არ იცნობს რუსთავს ქვეყნის მეორე ინდუსტრიულ ცენტრს, საიდანაც ადრე ყოველდღიურად 5-6 ათასი ტონა ტვირთით დახუნძლული ეშელონები გადიოდა. თანაც რა სახის პროდუქცია არ გვქონდა, რას არ ვამზადებდით, სხვა რომ არაფერი, რამდენიმე დასახელების სახალხო მოხმარების საქონელი გამოდიოდა ჩვენებური გამრჯე კაცის ხელიდან.

ისე, ძალიან გამიხარდა, პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში პატარებს რომ შეხვდა, საახალწლოდ ბათუმშიც ხომ იმუშავა ნორჩებთან. აი, თავისი სასახლე რომ გააჩუქა, ეს თქვენიაო, აბა მე რაში მჭირდებაო, ეს კი არ მჯერა. მე რომ ვიცნობ, იმ სასახლეს, საკუთარ შვილსაც არ დაუთმობს მიხეილ ნიკოლაევიჩი... ისე ის ბავშვები და, საერთოდ, საქართველოში მცხოვრები ბავშვები, მოზარდები, მოზრდილებიც, ერთიანად საცოდავია, მათ ხომ სამშობლო აღარ აქვთ. მომავალი არა აქვთ, დღეს ახალგაზრდა კაცი მტვირთავად რომ ვერ მოეწყობა, ესაა ყველაზე დიდი უბედურება.

**გივი ჯახუა**

*P. S. აქვე არ შემიძლია ჩემი აღფრთოვანება არ გამოვხატო თბილისის საკრებულოს მიმართ. რომ არა ის სიფხიზლე, რომელიც საკრებულოს წევრებმა გამოიჩინეს, საქმე ცუდად წავიდოდა. თურმე, ნუ იტყვი და, იქვე, ყურის ძირში, წყნეთში ერთ-ერთ ქუჩას სტალინის სახელი შემორჩენია! არადა, ეს ხომ კატასტროფაა!! სხვა რომ არაფერი, პარლამენტარ „პადოშას“ როგორ გამორჩა, ამაზე დიდი საქმე ნეტავი რა აქვს? ისე, სჯობს გვიან, ვინემ არასდროს. დარწმუნებული ვარ, ამ საქმის ინიციატორს მიშას ორდენს ჩამოჰკიდებენ.*

*ისე, „პადოშას“ მინდა შევატყობინო, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და თვით ქალაქი რუსთავიც იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბრძანებით აშენდა, კიდევ უარესი, ამ საქმეს თავიდან ლავრენტი პავლეს ძე ბერია კურირებდა. ამის დოკუმენტები არსებობს. ესეც არ იყოს, ამ სამრეწველო ქალაქმა თავისი ფუნქცია დაკარგა და იქნებ გააუქმონ, როგორც სტალინის ნაჩუქარი.*

*P.P.S. წერილი რედაქციაში გადასაგზავნად მზად იყო, რომ ხელისუფლების მორიგმა ვანდალურმა მოქმედებამ შესძრა ქვეყანა: მერაბიშვილის ზონდერბრიგადები სასტიკად გაუსწორდნენ მოშიმშილე ომის ვეტერანებს, რაც სისხლიანი 7 ნოემბრის გამეორება კი არა, უარესია. ფაშისტური დიქტატორი კბილებს გვისინჯავს, ხალხო! გამოვფხიზლდეთ, თორემ ხვალ გვიან იქნება!!*

**გ. ჯ.**

**საქართველო და ევროპის კავშირი**

# 2011 წლის თვალსაწიერში

*2008 წლის საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირში გაერთიანება თბილისისთვის აშკარა პრიორიტეტად იქცა, მაგრამ ურთიერთობები, რომლებიც ორივე მხარისთვის სასარგებლოა, ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.*

*როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარებას განვიხილავთ, აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სჭირდება ყველა მხარეს რეალურად ეს ურთიერთობები. 2008 წლის აგვისტოს ინციდენტების შემდეგ ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილმა საქართველოსთვის მისი ნატოში გაწევრების ამბიციები გადაფარა. ევროკავშირთან მიახლოება არა მხოლოდ უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად იქცა, არამედ რეალური უსაფრთხოების ელემენტად, რუსეთის გეოპოლიტიკური დესპოტიზმისგან თავდაცვისა და საქართველოს დარჩენილი ტერიტორიების ანექსიის შეჩერების მცდელობად. ევროკავშირი ამ თვალსაზრისით ერთგვარ ბუფერად იქცა ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. პრეზიდენტ მედვედევის „იაროსლავური ინიციატივები", რომელთა თანახმადაც საჭიროა რუსეთის ფედერაციასა და ნატოს შორის უთანხმოებების დაძლევა ისევე როგორც თანამშრომლობა ევროკავშირთან, „ურთიერთსარგებლიანობის" პრინციპის შესაბამისად, ეფექტიანი პოლიტიკის წარმოების ახალ შესაძლებლობებს ხსნის.*

*და ეს ის პოლიტიკური რეალობაა, რომელიც ბევრ პესიმისტს ერთ რამეს უდასტურებს — ევროკავშირის ამ ფუნქციების ინსტიტუციური განმტკიცებით, ის სწორედ იმ ორგანიზაციად იქცევა, რომელსაც საერთაშორისო უშიშროების თვალსაზრისით ბევრი სასიკეთოს გაკეთება შეეძლება, განსაკუთრებით კონტინენტურ ევროპაში. ევროკავშირი, მიუხედავად მისი სხვადასხვა სუსტი მხარისა, საზოგადოების უფრო დიდი ნდობით სარგებლობს, ვიდრე ნატო.*

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების ანალიზისას, აუცილებელია ხაზი გაესვას ამ ურთიერთობათა ასიმეტრიას. ესაა ურთიერთობა უზარმაზარ საერთაშორისო ორგანიზაციასა და პატარა, დიდი პრობლემების მქონე ქვეყნისა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებელია ამ პრობლემათა გადაჭრა. ამ ურთიერთობებში ევროკავშირი საქართველოსთვის რესურსია, მაგრამ საქართველოსაც აქვს გარკვეული შესაძლებლობები, რომლებიც ცენტრალურ აზიაში გაზრდის ევროკავშირის გავლენას. უპირველეს ყოვლისა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და სატრანზიტო შესაძლებლობების გამო და ამავე დროს იმის გამოც, რომ მას დემოკრატიული ღირებულებისადმი ძმური განწყობა აქვს. დასავლურ-აზიური ახალი კავშირის შექმნის გეგმების ფონზე (ეს კავშირი ღიად ანტიევროპული ბუნებისაა და ცდილობს ახალ გეოპოლიტიკურ ღერძში რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი ჩაითრიოს) – საქართველო ისევ ევროპული საზოგადოებისთვის ევროპული ცივილიზაციის საზღვრების დამცველის როლს ასრულებს. ასეთია საქართველოს ისტორიული და სტრატეგიული როლი. ქვეყანა ამ როლს 2 ათასი წელია ზედმიწევნით ასრულებს და ამის გამო სასტიკი საზღაურიც გაიღო.

### დღის საქართველოს შემდეგი ფაქტორები ემუქრება:

- პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის სრული დაკარგვა;
- მთელი მისი ტერიტორიის ოკუპაცია;
- მისი სახელმწიფოებრიობის განადგურება.

ევროკავშირი რამდენადაა მზად ამ საფრთხეებთან დაპირისპირებისთვის? საქართველოს გადასახედიდან ევროკავშირი ის ინსტრუმენტია, რომელსაც შეუძლია მოვლენათა ნეგატიური განვითარების პროცესი აღკვეთოს, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მისი რესურსები დამაჯერებლად მაქსიმალური არ იყო, ხოლო ის, რაც ევროკავშირს ჰქონდა, ეფექტიანად არ გამოუყენებია.

ევროკავშირი საქართველოში ბევრ მნიშვნელოვან ფუნქციასა და როლს ასრულებს. აი ზოგიერთი მათგანი:

### ევროკავშირის მეთვალყურეები

ევროკავშირის მონიტორინგის სამი მთავარი ფუნქცია აქვს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ოკუპაციური არმიის შემდგომი დისლოკაციის აღკვეთას, ზოგადად ამგვარი სიტუაციების რისკების შემცირებას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – ამ კონფლიქტურ ზონებში პოლიციური კონტინგენტის შექმნასა და დემოკრატიული სისტემის დაფუძნებას. მიუხედავად სამეთვალყურეო მისიის აქტიურობისა, რუსეთის ფედერაცია არალეგალურად იკავებს ახალ ტერიტორიებს (სექტემბერში სოფელ ნიქოზის მახლობლად, ოკუპირებულ იქნა მინდვრების დაახლოებით 20 ჰექტარიძ და თვითნებურად სტოვებს ოკუპირებულ ტერიტორიებს (მაგალითად წელს ოქტომბერში რუსული ჯარი პერევიდან გამოვიდაძ.

### ევროკავშირი როგორც ექსპერტი

ტალიავინის კომისიამ, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ შეიქმნა, მოვლენათა მხოლოდ ნაწილობრივი და შესაბამისად არაადეკვატური შეფასება მოგვცა, მოვლენები მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შეტაკებამდე დაიყვანა და მიჩქმალა კონფლიქტის მონაწილე მთავარი მხარეები, სახელდობრ ნატო. რეალურად კი იმის გამო, რომ საერთაშორისო კონფლიქტი პრიმიტიული, ტერიტორიული დავის დონემდე დაიყვანა, კომისიამ უგულებელყო კონფლიქტის არსებითი მხარე – ბრძოლა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ნახშირწყალბადებისა და მისი ტრანზიტის გამო. 2008 წლის 5-6 აგვისტოს, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენი თურქეთის მხარის აფეთქდა და შედეგად, კონფლიქტის დასრულებამდე, 21 აგვისტომდე არ აღუდგენიათ. ანგარიში 900 გვერდისგან შედგებოდა და დახარჯული თანხა 1.7 მილიონი ევრო დაჯდა.

### ევროკავშირი როგორც მედიატორი

საგარეო პოლიტიკა

ევროკავშირის მცდელობა მედიატორის სტატუსი მოეხვეჭა, მარცხისთვის იყო განწირული. სამმხრივი სტრუქტურის, მედვედევ-სარკოზი-სააკაშვილის პარალელურად მოლაპარაკება მიმდინარეობდა ფრანგული საბრძოლო გემის „მისტრალის" გაყიდვაზე. შედეგად მედვედევისა და სარკოზის მონაწილეობით სამმხრივი სტრუქტურა ორმხრივ სტრუქტურად გარდაიქმნა. სააკაშვილი და საქართველო მოლაპარაკებიდან მთლიანად ამოვარდა. ამის გამო ბრიუსელი მედიატორიდან საქართველოს მოსარჩლედ იქცა, ხოლო მოსკოვმა სეპარატისტებზე იკისრა მზრუნველობა. ეს რუსეთის დიპლომატიისთვის აშკარა გამარჯვება, ხოლო ბრიუსელისთვის სრული მარცხი იყო.

ამ თვალსაზრისით, ევროკავშირი გეოპოლიტიკური კონფლიქტის ღია მონაწილედ იქცა, რამაც შეასუსტა სტაბილიზაციისა და რეგულირების საერთო პროცესი. სეპარატისტების ლიდერებმა ევროკავშირის დიპლომატების შეცდომა ბოლომდე გამოიყენეს და მოსკოვის მიერ წაქეზებულებმა დაიწყეს მედიაკამპანია, რომლის მიზანი ევროკავშირის, როგორც მედიატორის, როლის შესუსტება იყო. ამ პროცესს თბილისის პოზიციამაც შეუწყო ხელი, რადგან ის ცდილობდა ევროკავშირი საქართველოს ინტერესების დამცველად და ტრიბუნად გამოეყენებინა.

### ევროკავშირი როგორც დონორი

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში 1995 წლიდან მუშაობს. 1992-წლიდან 2007-წლამდე საქართველომ 530.8 მილიონი ევრო მიიღო. 2008 წლის ომის შემდეგ ევროპის კომისიამ 2008-2010 წ.წ. პერიოდისთვის ომის შედეგების შესამსუბუქებლად 500 მილიონი ევრო გაიღო. ყველაზე დიდი შენატანი დამატებით ფონდებში იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, რომლებიც ამასწინანდელი და 1990 წლის კონფლიქტების მსხვერპლნი არიან. ამ თანხებიდან ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის იყო განსაზღვრული. 2010 წლის აპრილში ევროკავშირმა საქართველოს 2011-2013 წ.წ. პერიოდისთვის დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, კარგი მართვის, ვაჭრობისა და ინვესტიციების, მდგრადი ეკონომიკის, სოციალური გარემოსა და რეგიონალური განვითარებისთვის, სიღარიბის შემცირებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის 180 მილიონი ევრო უსაჩუქრა.

ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიზანი დემოკრატიული რეფორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერაა. ევროკავშირი ამის განსახორციელებლად ბევრ მექანიზმს იყენებს, ერთ-ერთი მათგანია ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHRძ, რომელიც საქართველოში 2004 წლიდან მუშაობს. 2004-2006 წ.წ. ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს გრანტები 17 მილიონი ევროს ოდენობით. 2009 წელს პროგრამისთვის 1.2 მილიონი ევრო გამოიყო. „არასამთავრობო აქტორები განვითარების პროგრამაში" კიდევ ერთი ინსტრუმენტია. უკვე მრავალი წელია ევროკავშირის პროგრამების პრიორიტეტი საქართველოში დამოუკიდებელი მასმედიისა და საპარლამენტო სტრუქტურების მხარდაჭერაა. საარჩევნო სისტემის ყველა ასპექტი ასევე მხარდაჭერილი.

### რას ელის საქართველო ევროკავშირისგან?

მთავრობა

ნატოში ინტეგრაციის პოლიტიკის მარცხის შემდეგ, რაც 2008 წლის ომის მერე მოხდა, ინტეგრაცია ევროკავშირში იმ ერთადერთ სპეციფიკურ სტრატეგიულ მიზნად იქცა, რომლის დეკლარირებაც საქართველოს მთავრობას შეუძლია ისე, რომ გარე ზემოქმედების რისკი არ გამოიწვიოს. ამ პოლიტიკისთვის უფრო ადრე რომ მიემართათ და ნატოს მხარდამჭერი ექსტრემიზმი ასე აშკარა რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა ომი არც დაწყებულიყო, მაგრამ პასუხისმგებლობა ამის გამო შეიძლება დაეკისროს არა მხოლოდ სააკაშვილის გუნდს (ეს უთანხმოება უფრო ადრე, შევარდნაძის მმართველობის დროს დაიწყოძ, არამედ იმ დასავლელ პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც ვერ შეძლეს რუსეთის ყველაზე შესაძლო, საბაზისო ნაბიჯებს პროგნოზირება, თუმცა მოსკოვი ყოველთვის მზად იყო ყველა შესაძლო საშუალებით დაეცვა თავისი ინტერესები კავკასიაში. შედეგად ქართველი პოლიტიკოსების გეოპოლიტიკური ექსტრემიზმი მოულოდნელ ვითარებაში აღმოჩნდა და ისინი ჩაერთვნენ ისეთი კონტროლირებადი სივრცეების განვითარებაში, როგორიცაა ტურიზმის ინფრასტრუქტურა. ეს სამუშაო მათ საკმაოდ კარგად შეასრულეს. ამ ეტაპზე ისინი ევროკავშირისგან ახალ ინვესტიციებს ელიან, რათა შექმნან ქვეყნის ისეთი მიმზიდველი იმიჯი, რომელიც, პოლიტიკური გრავიტაციის თეორიის თანახმად, დანარჩენ მსოფლიოს მიიზიდავს.

### ევროკავშირის პოლიტიკის მთავარი არეალი საქართველოში

ურთიერთობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1992 წელს, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ევროკავშირი იყო ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოს რთულ, გარდამავალ პერიოდში დახმარება შესთავაზა. ევროკავშირის დელეგაციის ოფისი საქართველოში 1995 წელს ამოქმედდა. 1999 წელს ძალაში შევიდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება საქართველოს და ევროკავშირს შორის.

ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გახდა. მაშინ ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხარს დაუჭერს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებს. ევროკავშირისა და საქართველოს სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ საქართველო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ნაწილად იქცა.

1990 წლებიდან ევროკავშირი ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოსადმი კონფლიქტების შედეგების დაძლევის პროცესში.

### ევროკავშირის შესაძლო პრიორიტეტები საქართველოში

მომავალი ხუთი-ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის პრიორიტეტი არა მხოლოდ პოლიტიკურ რეჟიმებთან, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უნდა იყოს. კიდევ ერთ ამოცანად ახალი პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბების მხარდაჭერა უნდა იქცეს.

ევროკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ წარსული წლების შეცდომებს, როდესაც აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში სამხრეთ კავკასიის პარტნიორობის განვითარების მცდელობის „პირველი ტალღა" შეფერხდა. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში რეგიონალურმა ინიციატივებმა ტემპი შეანელა და არ მოიტანა მოსალოდნელი შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ENP-ს ფორმატში ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობები ვითარდება, სამხრეთ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესები აღსანიშნავი არაა. იმის ცოდნამ თუ რამდენად არაეფექტიანად ვითარდებოდა პარტნიორობა სამხრეთ კავკასიაში, რამდენიმე წლის წინათ შემდეგი კითხვა გააჩინა: როგორ უნდა იარონ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ევროკავშირისკენ – ერთად თუ ინდივიდუალურად?

თუმცა რეგიონალური ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს და ახალი კავკასიური ინსტიტუტებიც იქმნება, რაც კარგია. რეგიონალური უსაფრთხოების სამხრეთ კავკასიის ინსტიტუტი კავკასიური ორგანიზაციების სოციალური სტრუქტურის განვითარების დინამიკას უფრო ფართოდ იკვლევს. ევროკავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს კავკასიური პარტნიორობის ფორმატების დივერსიფიკაციას და თავადაც სცადოს მათი განვითარება და განმტკიცება. რეგიონალური პარტნიორობის ფორმატების დივერსიფიცირების მიდგომაა ასახული რეგიონალური უშიშროების კავკასიური ინსტიტუტის პუბლიკაციებში. „კავკასიის არქიპელაგი: მითი და პოლიტიკური რეალობა" 2009 წლის დეკემბერში, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით მომზადდა. ამ ნამუშევრის შექმნის მთავარი მოტივაცია ის იყო, რომ მოძიებული ყოფილიყო ახალი პრინციპები და შეხედულებები და შესაბამისად ახალი სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური პარტნიორობის განვითარებისთვის.

წიგნი რეგიონის დეფინიციის აღქმის დინამიკას აანალიზებს და მისი პოლიტიკური გეოგრაფიის ინოვაციურ გააზრებას გვთავაზობს. გარდა სამი ტრადიციული ქვეყნისა (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველოძ რუსეთი და თურქეთიც რეგიონის ქვეყნებად განიხილება. ასევე განიხილება ირანი და სხვა არარეგიონალური აქტორები. კვლევა გვთავაზობს რეგიონალური კოოპერაციის ფორმატების დივერსიფიცირებულ აღქმას, რაც განსხვავდება ტრადიციული გააზრებისგან ისე, რომ აფართოვებს თანამშრომლობის შესაძლებლობებს, კერძოდ კი რთული რეგიონალური კონფლიქტური სიტუაციების მართვასა და პრევენციას.

ევროკავშირმა ასევე უნდა განიხილოს ის საფრთხეები, რომლებიც ემუქრება მის მოქმედებებს კავკასიასა და საქართველოში. ესენია საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია, ანტიდასავლური მთავრობა, მოსკოვის ლობის გამარჯვება და მოსკოვის მიერ საქართველოს დამორჩილება.

EUROPEAN DIALOGUE

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ს სენატორები იცავენ „მისტერ ნემცოვს", რომელიც ახალ წელს გისოსებს მიღმა შეხვდა**

დაპატიმრებული რუსი ოპოზიციონერების დასაცავად გამოვიდნენ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ჯონ მაკკეინი და დამოუკიდებელი სენატორი ჯო ლიბერმანი. ისინი „ყველაზე აღმაშფოთებელს და სამარცხვინოს" უწოდებენ იმას, რომ მოსკოვის მთავრობამ ნება გასცა მიტინგის მოწყობაზე, რომლის დროსაც დააპატიმრეს ნემცოვი და იაშინი.

* * *

**ქოლერის ეპიდემიამ ჰაიტიზე 3,481 კაცის სიცოცხლე შეიწირა**



დაავადებულია თითქმის 160 ათასი კაცი. დაავადება გავრცელდა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. მეზობელ დომინიკის რესპუბლიკაში დარეგისტრირებულ შემთხვევათა რიცხვმა 148-ს მიაღწია, ლეტალური შედეგები არ არის. დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საფრთხეს არ იწვევს.

* * *

**მგზავრებმა თავიდან აიცილეს თვითმფრინავის ხელში ჩაგდების მცდელობა. იგი ნორვეგიიდან თურქეთში მიფრინავდა**




ბოროტმოქმედი თურქია, რომლის სახესაც ნიღაბი ფარავდა, იგი მოითხოვდა ნორვეგიაში დაბრუნებას, იმუქრებოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედებაში მოიყვანდა ასაფეთქებელ მოწყობილობას. ის შეეცადა შესულიყო პილოტის კაბინაში, მაგრამ ის მასთან შეჯახების დროს მგზავრებმა შეაჩერეს.

* * *

**აშშ-ში პოლიციის დეტექტივის შვილმა დაჭრა სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე, შემდეგ კი თავი პისტოლეტით მოიკლა**

პოლიციამ ეჭვმიტანილი მკვდარი ნახა მანქანაში სკოლის მახლობლად. ტრაგედია მოხდა ქალაქ ომახაში. სკოლის დირექტორი რეანიმაციაშია, მისი მდგომარეობა შეფასებულია, როგორც სტაბილურად მძიმე, მისი მოადგილის მდგომარეობა კრიტიკულია. მოზარდი სკოლაში ახალი მოსწავლე იყო.



# მშვენიერი ელენე – ბაგრატოვანთა და მაჩაბელთა ღირსეული შთამომავალი

მთა ყანობილი. 1700 მეტრი ზღვის დონიდან. მსოფლიოში ცნობილი ასტროფიზიკური ობსერვატორია. ცამდე აზიდული ფიჭვებისა და ნაძვების ფონზე ჩაფენილი დიდი ლამაზი შენობები – ზოგი ჩვეულებრივად გადახურული, ზოგიც – გუმბათიანი.

აბასთუმანი – პატარა, მყუდრო ქალაქი და დიდი სამეცნიერო ცენტრი. პროვინციისთვის უჩვეულოდ ბევრი მეცნიერი – მხცოვანებიც და ახალგაზრდებიც. ძიება შორეულ ვარსკვლავთსამყაროში – უძილო ღამეები, მიგნებები, აღმოჩენები, მომავლის ჭვრეტა.

აქ ცხოვრობდა ობსერვატორიის უხუცესი თანამშრომელი ელენე ივანეს ასული მაჩაბელი – დიდი მამულიშვილის ივანე მაჩაბლის ქალიშვილი და ერთადერთი მემკვიდრე. აქ გაატარა მან ცხოვრების ნახევარი და აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ელენეს მამა ივანე მაჩაბელი ქართლის დიდ თავადთა ღირსეული შთამომავალი იყო. დედა – ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი – ერეკლე მეორის შვილთაშვილი.

ტასო თბილისის იმდროინდელ საზოგადოებაში ცნობილი პიროვნება გახლდათ. ქართული სახალხო თეატრის მოჭირნახულე და, როგორც პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა ბრძანა, ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იმ ოჯახების შვილთაგან, რომლებიც თითქოს ფიზიკურად გვაკავშირებდნენ XIX საუკუნესთან.

1898 წელი, ივნისი. ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული ივანე მაჩაბელი ღამით სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. დედაქალაქი ფეხზე დადგა, მაგრამ ამაოდ, მაჩაბლის კვალს ვერავინ მიაგნო. ძაძით შეიმოსა ახალგაზრდა ქვრივი ტასო ბაგრატიონი-დავითაშვილი-მაჩაბლისა. დაობლდა ორი შვილი – 6 წლინახევრის ნიკოლოზი და 4 წლინახევრის ელა. უსაზღვრო იყო ქალის მოლოდინი, მაგრამ ამაოდ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ელოდა მოსიყვარულე ქმარს.

მამის სახელზე იზრდებოდნენ ელა და ნიკოლოზი. სწავლობდნენ, დედასაც ეხმარებოდნენ. ელენემ წმინდა ნინოს სასწავლებელი დაამთავრა და დედის სიკვდილის შემდეგ თავისი ბედი დაუკავშირა იურისტ ივანე ჩერქეზიშვილს: უიღბლო გამოდგა ელენე ჩერქეზიშვილი. ძმა ნიკოლოზი ბოლშევიკებმა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაუხვრიტეს. 1938 წელს მეუღლეც დაუხვრიტეს. ელენეს ორი ვაჟი ჰყავდა დავითი და მიხეილი. დავითი ტუბერკულოზით დაავადდა, რის გამოც ელენე აბასთუმანში გადმოსახლდა, მაგრამ ვერ იხსნა შვილი სიკვდილისგან. აქვე მიაბარა მთა ყანობილის მიწას და თვითონაც აქ დარჩა საცხოვრებლად.

30 წელზე მეტ ხანს იმუშავა ელენემ ობსერვატორიის ბიბლიოთეკაში. ღირსეულად გაზარდა უფროსი ვაჟი მიხეილი. უმაღლესი დაამთავრებინა, დააოჯახა, შვილთაშვილებსაც მოესწრო, მიხეილი და მისი მონაგარი თავს ევლებოდნენ დედას და ბებიას. ისიც ხარობდა და კვლავ საქმიანობდა. აქვეყნებდა მამის წერილებსა და მოგონებებს მასზე. დაჰკანკალებდა ყველაფერს მაჩაბლისეულს. აგროვებდა მასალებს, ურთიერთობა ჰქონდა ადამიანებთან, რომლებიც ერთ დროს მაჩაბელთან მუშაობდნენ. ელენემ დღის სინათლეზე გამოიტანა მწერლის დღიურები, სხვა ხელნაწერები, მისი



ურთიერთობა აკაკისთან, და-ძმა ურდღოპებთან, მიშო და ვასილ მაჩაბლებთან, მიმოწერა უნგრელ მხატვარ მიხაი ზიჩისთან. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიასთან ერთად შესრულებული შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანის ხელნაწერი – მწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი თავისებურად უნიკალური საბუთი ორი შთაგონებული შემოქმედის თანამშრომლობისა: ფურცლებს შემონახული აქვს დიდი ილიას და ივანე მაჩაბლის ხელით დაწერილი ძვირფასი სტრიქონები.

ეს ყველაფერი – შესანიშნავად მოწესრიგებული და დალაგებული, ჯერ კიდევ ოციან წლებში უსასყიდლოდ გადასცა ახლად დაარსებულ ლიტერატურის მუზეუმს. ერთი მნიშვნელოვანი საბუთიც კი არ დაუკარგავს შთამომავლობისთვის. საინტერესო მასალები გადასცა თეატრალურ მუზეუმსაც.

ელენე მაჩაბელს მდიდარი არქივი ჰქონდა. იგი პირადად იცნობდა რუს პოეტს ბალმონტს (მის არქივში ინახებოდა ნინო ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი ბალმონტის ლექსიძ. დიდი მეგობრობა აკავშირებდა იოსებ ნონეშვილთან. გრიშაშვილი ელენეს დედის გაზრდილი ყოფილა – ამანაც დააახლოვა ისინი. ელენე ინახავდა პოეტის წერილებს და მისდამი მიძღვნილ ლექსებს. ამ არქივში ინახებოდა ი. გრიშაშვილის ბარათი, რომელიც ეხება ელენეს დედას, თბილისის დრამატული კომიტეტის წევრს, სახალხო თეატრის თავმჯდომარეს:

„ძვირფასო ელენე! მივიღე იაკობ გოგებაშვილის წერილი, მიწერილი დედათქვენისადმი. წერილი ეხება ჩემს საღამოს, ილია ზურაბიშვილისა და ტასო მაჩაბლის ინიციატივით რომ გაიმართა 1919 წელს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მთელი ამ საღამოს ავანჩავანი დედათქვენი იყო, რომელიც ჩემისთანა „უვიცებს“ ეხმარებოდა სწავლის გაგრძელებაში“.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ივანე მაჩაბელი მიხაი ზიჩის კარგი მეგობარი იყო. მათ ხშირი მიმოწერაც ჰქონდათ. მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უცხოელი დამსურათებელია. ეს კი, თურმე ივანე მაჩაბლის თაოსნობით მომხდარა. მიხაი ზიჩიმ თავისი სურათები უსასყიდლოდ გადასცა საზოგადოებას. ივანე მაჩაბელმა ურჩია ცნობილ ქართველ მეცენატს გიორგი ქართველიშვილს დაეფინანსებინა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემა. გამოცემის ტექსტი ქართველ მოღვაწეთა დიდმა ჯგუფმა დაადგინა. დაასურათა მიხაი ზიჩიმა, ხოლო რედაქტორობა ივანე მაჩაბელს დაევალა. „ნიშნად ჩემი სიმპათიისა და გულითადი ერთგულებისა – ქართველ ხალხს, გთხოვთ მო-



ექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე – ნაზად, სათუთად“, – წერს მიხაი ზიჩი.

ელენემ წერილი მისწერა უნგრეთში მიხაი ზიჩის შვილიშვილს მარია ალექსანდრა რონოის. პასუხიც მალე მიიღო, ელენემ ზიჩის შვილიშვილს გაუგზავნა ზიჩის უცნობი სურათები. ეს სურათები ელენეს წერილთან ერთად დაიბეჭდა უნგრეთის გაზეთში.

ელენეს არქივში სათუთად ინახებოდა ზიჩის შვილიშვილის წერილები, ხოლო სურათები თვალსაჩინო ადგილზე იყო განლაგებული. ასე გრძელდებოდა მშობლებიდან დაწყებული მეგობრობა.

მათი მეგობრობის ამბავი თაობათა უწყვეტი კავშირის მშვენიერ მაგალითად იქცა და ეს საგანგებოდ არაერთხელ აღინიშნა უნგრულ და ქართულ პრესაში.

ელენეს ვაჟი მიხეილი სიდარბაისლით, ახოვნებით, სიკეთით გამორჩეული ადამიანი იყო, ნამდვილი ღირსეული მემკვიდრე თავისი პაპისა. ჩვენ მარტო დედა-შვილი კი არა, დიდი მეგობრებიც ვართო – სიამაყით იტყოდა ხოლმე ეს მშვენიერი ქალი, განგებამ მოულოდნელად დედის მალმერთებელი შვილიც გამოაცალა ხელიდან. ამან საკმაოდ გატეხა უკვე ხანში შესული, მრავალჭირგამოვლილი ქალი. მის თვალებს სიკვდილამდე ცრემლი არ შეშრობია, ოღონდ ტიროდა თავისთვის, მარტო, ან ძალიან შინაურებში. ამაო იყო ყოველგვარი ნუგეში. ოთხი წელი იცოცხლა კიდევ, ოღონდ თვითონ ამას სიცოცხლედ აღარ თვლიდა.

ქალბატონი ელენეს გამოჩენა აბასთუმანში სენსაცია იყო ხოლმე, ხალხი შორიდანვე აედევნებოდა, უკან მიყვებოდა და ტკბებოდა მისი ცქერით. მართლაც, ნამდვილი ბაგრატიონი იყო – მაღალი, სწორად ასხმული, ჩამოქნილი ტანი და გამორჩეული სილამაზე ჰქონდა. მნახველს წამში აჯადოებდა და მის წინაშე მუხლის მოყრის სურვილს უჩენდა. ხმა ჰქონდა მკაფიო, გაუბზარავი, დაწმენდილი, ტონი – მომაჯადოებელი, ღიმილი – შეუდარებელი. ობსერვატორიის მუშამოსამსახურეთა სახლში ერთი პატარა ბინა ეკავა – ერთი ოთახი, სათავსოებით (I სართულზეძ. ღია აივანი, წინ პატარა ბაღი-ყვავილნარი, სადაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყვაოდნენ ტიტები, ვარდები, იასამნები, მათ მზრუნველობით უვლიდა ქალბატონი ელენე. ჩამოუვლიდა, მოეფერებოდა, მაკრატლით ჭრიდა, ფაქიზად აწყობდა ლარნაკში, სხვებსაც სთავაზობდა, მეც არასოდეს მიშვებდა უყვავილოდ, მერიდებოდა, მაგრამ უარი არ გამდიოდა. მჩუქნიდა კანფეტებს, წიგნებს, სურათებს წარწერებით. 1963 წლიდან მისი სიცოცხლის ბოლომდე მქონდა ურთიერთობა ქალბატონ ელენესთან – მე მას ასე მოვიხსენიებდი – „ნაშთი ძველი დიდებისა“. ქალბატონი ელენე მაცნობდა თავის არქივს, რომელიც სათუთად ჰქონდა აკინძულ-შენახული. ოცნებობდა ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის გახსნაზე სოფელ თამარაშენში, ერთად წავალთო – მპირდებოდა. იქ უნდა მიეტანა და სახლ-მუზეუმისათვის გადაეცა თავისი მდიდარი არქივი – იშვიათი ექსპონატები და მათგან უმთავრესი – ივანე მაჩაბლის ძვლების ნაწილი (ნეკნები ოპერაციის დროს ამოჭრესძ.

აწ განსვენებული (მოკლულიძ აკად. გურამ შარაძე იყო მაჩაბლის სახლ-მუზეუმის დირექტორი და დიდი პატრონი, მისი მცდელობით არაერთხელ აღადგინეს ივ. მაჩაბლის სახლი, ოსმა სეპარატისტებმა არაერთხელ გადაწვეს. დიახ, ერთად ვაპირებდით წასვლას ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის გახსნაზე, ვერ ვეღირსეთ. დღესაც გადამწვარ-გადაბუგულ-განადგურებულია სოფელი თამარაშენი – სამწუხაროდ. სახელოვან მამულიშვილს მტრები არ აკლდა, უგზო-უკვლოდ გააქრეს ბოროტმა ძალებმა. დარჩა ქალბატონი ელენეს მამისეული მასალები. მათი ნაწილი დღესაც ინახება მთა ყანობილზე მდებარე პატარა ბინაში, მათ მზრუნველობით უვლიან ელენეს შთამომავლები, ყველაფერს ზედ დაჰკანკალებენ და ამით განამტკიცებენ ღირსეული პაპის ხსოვნას.

მათ დიდი ხანია ჩაიფიქრეს ქალბატონ ელენეს მოკრძალებულ ბინაში გახსნან პატარა სახლ-მუზეუმი, გამოფინონ ელენეს მდიდარი არქივი და ამით მომავალ თაობებს და დღევანდელებსაც გააცნონ დიდი ქართველი მამულიშვილის ივანე მაჩაბლის ცხოვრება.

ქალბატონ ელენეს შთამომავლებმა საკითხი დააყენეს ობსერვატორიის დირექციის წინაშე, აღძრან შუამდგომლობა მთავრობასთან, არ გაიყიდოს ელენე მაჩაბლის ბინა და დაუთმონ სასიქადულო მამულიშვილს ივანე მაჩაბელს, თუნდაც ეს იყოს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფილიალი. ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მწარე სინამდვილის წინაშე ვდგავართ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1. XI.2008 წ. №205ძ უკვე დაიბეჭდა ცნობა – „როგორ გავხადოთ ქართული ასტროფიზიკა მომგებიანი?“ (ავტორი ვიქტორ ჯაფიაშვილი – პროფესორი, ასტროფიზიკოსიძ. გაიყიდება ობსერვატორიაზე მიმაგრებული ტერიტორია (რამდენიმე ათეული ჰექტარი უმდიდრესი და ულამაზესი ტყის მასივიძ, ზედ განთავსებული იშვიათი ინფრასტრუქტურა (ტელესკოპები თავიანთი კოშკებით, აგრეთვე სხვა დამხმარე ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლების ჩათვლითძ. ეს უკვე მთავრობის გადასაწყვეტია, ვიქონიოთ იმედი, რომ არ გაიყიდება ელენე მაჩაბლის პატარა ბინა (ყოფილიძ და მას გამოიმეტებენ ივანე მაჩაბლის მუზეუმად.

იქნებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ დაგვეხმაროს, ხმა მივაწვდინოთ მთავრობამდე! იქნებ იკისრონ სახელოვანი მამულიშვილის მცირეოდენი მემკვიდრეობის გადარჩენა. და ის ერთი პატარა ოთახი მთა ყანობილზე გაიმეტონ ღირსეული მამულიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად და მუზეუმად.

იქნებ გვერდში ამოგვიდგნენ ქართველი მამულიშვილები, რომლებიც, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ გვყავანან.

**ზინაიდა ლოზჟანიძე,**
საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. პერსონალური პენსიონერი. შრომის ვეტერანი.
კურორტი აბასთუმანი

## ინფორმაცია

### ალიევის მილოცვამ ირანელები გაანაწყენა

ირანსა და აზერბაიჯანს შორის ახალი სკანდალი პრეზიდენტ ილჰამ ალიევის საახალწლო მილოცვას მოჰყვა.

ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „რეგნუმი“ ირანულ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა ახალი წელი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მცხოვრებ აზერბაიჯანელს მიულოცა.

– როგორც აზერბაიჯანში, ასევე მსოფლიოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ლიდერი გილოცავთ ყველას ახალ წელს, – ამ საახალწლო მილოცვას კი ირანის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის მილოცვას ირანის პარლამენტის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების კომისიის ხელმძღვანელი ალადინ ბრუდჟერდი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ილხამ ალიევი ირანში მცხოვრები აზერბაიჯანელების ლიდერი არ არის და ისინი საკუთარ ლიდერად ირანის ხელისუფლებას თვლიან.

### თურქებს ევროკავშირში შესვლა არ სურთ

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ახმად დავუდოღლუს განცხადებით, თურქეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ევროკავშირში ქვეყნის გაწევრებას მხარს არ უჭერს. ამის შესახებ თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ელჩების მესამე ყოველწლიურ კონფერენციაზე განაცხადა. – ევროკავშირში შესვლის იდეა, რომ დაიცვა თურქეთში დიდი გამბედაობა უნდა გქონდეს, – აღნიშნა დავუდოღლუმ, თუმცა აქვე დასძინა, რომ ხელისუფლება არ აპირებს გაჩერებას და ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხზე მუშაობას განაგრძობს.

ჯი-ეიჩ-ენი

*მორჩილს წინ უძღვის ბედისწერა, ურჩს კი მიათრევს — ამბობდნენ ძველი ბერძნები, ის ბერძნები, რომელთა კულტურულ პლასტში იშვა მიწიერ ტერფსიქორად შერაცხული ქალი-ფარვანა, უნაზესი და იმავდროულად უძლიერესი არსება — აისედორა დუნკანი. მისი ბედისწერა ტრაგიკული სიძლიერით მელვილის მობი დიკისეულ სიღრმეებზე გადის და ბედის ურჩ აქაბთან აღძრავს ასოციაციებს. ორივე ბედისწერის ბორბალმა ჩაითრია და... მოუგრიხა კისერი, რაოდენ სამწუხარო და ამაზრზენიც არ უნდა იყოს, ბუნების უნაზესი ქმნილების დორა ანჟელა დუნკანის შემთხვევაში ეს პირდაპირ გაგებით მოხდა. ტრაგიკული მოვლენებით სავსე პირადი ცხოვრების, მთელი ქონების განიავების, მორალურად და ფიზიკურად განადგურების შემდგომ ევროპაში დაბრუნებულ აისედორას, 1927 წელს, ისევ მის შავ დემონად ქცეულმა ავტომობილმა უმუხთლა, რომელმაც მანამდე მისი ორი შვილის სიცოცხლე შეიწირა. ავტომობილში ჩაჯდომის წინ უდიდესმა მსახიობმა და სულით უძლეველმა ამორძალმა ჩვეული სიმსუბუქით და უზრუნველობით შემოიგდო თავისი ცნობილი მეწამული ფერის გრძელი შარფი ულამაზეს კისერზე და ბედის ნებიერის ღიმილით დაემშვიდობა მეგობრებს: „მშვიდობით, მე დიდებისკენ მივქრივარ!“.*

*მანქანა აიძრა...*

*უკანა ბორბალმა აისედორას მეწამული ფერის შარფი ჩაიხვია და ბედის ყელს გველივით შემოეხვია. სიმბოლურია, — ის ხომ სწორედ ამ სისხლისფერ შარფს უფრიალებდა ცხვირწინ ხარივით მორქინალ ბედისწერას...*

*მიწიერი ცხოვრებით განაწამები და მაინც ბედთან ბოლომდე შეურიგებლად მოპაექრე ტერფსიქორა თავის ჭეშმარიტ სამყოფელს — ზეცას დაუბრუნდა.*

# ტერფსიქორას მიწიერი ორეული

თითის წვერებზე შემდგარი თითქოს მუდამ ამას ლამობდა, — დედამიწის გრავიტაცია დაეძლია და გაფრენილიყო; დაფრინავდა კიდეც, როგორც ფარვანა, როგორც მოფარფატე თეთრი გედი... იგი არ იყო მხოლოდ მოცეკვავე და არტისტი, ის უფრო დიდი იყო და დიდი რამისთვის შექმნილი, ვიდრე მუზა-ქალღმერთის, ტერფსიქორას მსახურება გახლდათ. მისი ამბიცია უფრო შორს მიდიოდა, — მას ახალი ადამიანის შექმნა სურდა, ეს კი, მოგეხსენებათ, უფლის პრეროგატივაა მხოლოდ, იქნებ უფალთან ამ გაპაექრებისთვისაც ისჯებოდა... ამ ნიშნით ხომ მრავალნი დაისაჯნენ, — შელი და ბაირონი, — ამათგან ერთი ხმელთაშუაზღვის ტალღებმა ჩაითრიეს თეთრ ვეშაპთან მებრძოლი აქაბივით, მეორე კი ღმერთთან მებრძოლი იაკობივით დაკოჭლდა... კარგი დღე არავის დასდგომია, ვინც უფალზე აღმართა ხელი და კაცობრიობას მისი რწმენა შეურყია. 1922 წელს, აისედორა დუნკანსაც ხომ პრობლემები სწორედ იმ ინტერვიუების გამო შეექმნა, სადაც ის ათეიზმზე და რუსეთში აალებულ ბოლშევიკურ რევოლუციაზე საუბრობდა. პუბლიკა სასტიკად გაანაწყენა იმ ფაქტმაც, რომ მსახიობი ქალი სწორედ ბოლშევიკთა სიმბოლოს, წითელ შარფს აფრიალებდა სცენაზე გამომწვევად, იმ წითელ შარფს, რომელიც საბედისწერო გამოდგა მისთვის. ინდიანა პოლისკში ქალაქის მერმა ისიც კი განაცხადა, რომ აისედორა შესაძლოა პატიმრობაში აეყვანათ მისი გამომწვევი ქცევისა და ასევე გამომწვევი და მეტად გამჭვირვალე კოსტიუმის გამო.

აისედორას აზრით, ახალი ადამიანისთვის ცეკვა ჩვეულებრივზე უფრო მეტი რამ უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც ათასწლეულების წინათ, როცა ეს იყო ჟესტების ენა, რომელიც უამრავ ცოდნას და ინფორმაციას იტევდა და რომელზეც საუბრობდა უძველესი ცივილიზაცია. ის ნაწილობრივ გადარჩა აღმოსავლურ ცეკვებში, თუმცა მხოლოდ ფორმით, შინაარსი და მისი შიფრი კი უკვალოდ გაქრა... „მე აღმოვაჩინე ორი ათასი წლის წინათ დაკარგული ცეკვის ხელოვნება“, — ამბობდა მსახიობი ქალი. ეს ჭეშმარიტება იყო, — მან ბრიტანეთის ერთ-ერთ მუზეუმში მოთავსებულ, წითელი ფიგურებით მოხატულ ანტიკური ხანის ბერძნულ ვაზაზე შემორჩენილი ცეკვის სცენაში ჰპოვა უდიდესი საიდუმლო, — რომელიც ღვთიური, ოლიმპიური ცეცხლივით გადმოვიდა მასზე და გაუნათა გზა ხელოვნებაში. სწორედ ამ ცეცხლს აგიზგიზებდა შემდგომ მთელი ცხოვრება, ევროპის, ამერიკის თუ რუსეთის სცენასა და მდიდარ სნობთა სალონებში. ანტიკური ფილოსოფიის ხიბლისგან, მისი სიცოცხლის მაღმერთებელი დიონისური ექსტაზით თრობისგან აისედორა აღარც გამოფხიზლებულა მთელი ცხოვრების მანძილზე. უძველეს ჰეტერათა და ამორძალთა პირდაპირი შთამომავალი იყო. ბერძნულ ვაზაზე სწორედ ამგვარი ჰეტერა იყო ასახული, რომელიც ძველ საბერძნეთში უზადო განათლებით და დახვეწილი ესთეტიზმით გამოირჩეოდა. მისი ნაზად დახრილი თავი, ტუნიკის ქარისგან ატაცებული ნაკეცები და თავს ზემოთ დახვეწილი მოძრაობით ატყორცნილი ხელის მტევანი, მის ფეხებთან მჯდომი და მისი ცეკვის აღტაცებული წვერიანი მეომარი, ღვინის თასით ხელში, გაჭენებული ცხენი და ტალღებში მილივლივე გემი... სწორედ ეს გახდა დუნკანის შთაგონების წყარო. საოცარია, მაგრამ ამ ვაზის გენიალურმა მომხატველმა შეძლო ათასწლეულებს მიღმა გადმოეტყორცნა ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელმაც მსოფლიო ომებით და სისხლით გაჯერებულ მე-20 საუკუნეს თავისუფალი სული — აისედორა დუნკანი აჩუქა.

აისედორა დუნკანის შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა ნიცშეს ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამაც იქონია. სწორედ მისი ნააზრევის საპირწონედ წერს იგი წიგნს — „მომავლის ცეკვა“, სადაც მოქმედი გმირები, ნიცშეს ზარატუსტრას მსგავსად, მომავლის განჭვრეტის უნარით იყვნენ დაჯილდოებულნი, იმ მომავლისა, რომელიც მათ ულამაზეს ფერებში ესახებოდათ. მომავლის განჭვრეტის უნარი თავად ცეკვის ჯადოქარსაც ჰქონდა. ეს შეშლილობამდე მიდიოდა, მას არ ასვენებდნენ მოლანდებები. ეს ხან სამგლოვიარო მარში იყო და ხანაც ორი, ბავშვის ზომის კუბო, ქარბუქში. ერთხელ კი მან თვალნათლივ იხილა როგორ ჩადიოდა წყალში ხელი-ხელ ჩაკიდებული მისი ორი შვილი. აისედორას გული შეუწუხდა და როდესაც იგი გამვლელმა წამოაყენა, ქალმა მისუსტებული და შეშლილი ხმით ამოიკვნესა: „მიხსენით... იხსენით ჩემი სული შეშლილობისგან, მაჩუქეთ შვილი“. ახალგაზრდა იტალიელი დანიშნული იყო, მაგრამ სამყაროს მაინც მოევლინა მათი ვაჟი, რომელმაც სულ რამდენიმე დღე იცოცხლა.



მისი უბედურება, რომელიც ქალმა წინასწარ განჭვრიტა, ამით არ დასრულებულა: 1913 წლის იანვარში, ის შეხვდა ყველა ქალისთვის სასურველ და საოცნებო მამაკაცს, მდიდარ, ლამაზ და დახვეწილი მანერებით განთქმულ პარის იუჯინ ზინგერს, ზინგერის საკერავი მანქანის გამომგონებლის მემკვიდრეს და 7 წელი ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა ფუფუნებასა და განცხრომაში. სწორედ ამ დროს უწია ბედისწერამ... აისედორას ორი შვილი წყალში დაეხრჩო. ეს ამბავი კი ასე მოხდა: ზინგერთან შეხვედრის შემდეგ ბავშვები და მათი ძიძა მანქანით პარიზიდან ვერსალში მიდიოდნენ. მანქანას მოულოდნელად ძრავი ჩაუქრა და მძღოლმა კაპოტი ახადა, მერე სადენებს ხელი გამოჰკრა და... აძრულმა ავტომობილმა ჯერ თავად ის მოიყოლა, შემდეგ სვლა განაგრძო და სენაში გადაჩეხა აისედორას ორი შვილი და მათი ძიძა. აისედორას უცნაურმა რეაქციამ შვილების დაღუპვაზე, მისმა გასაოცარმა თავდაჭერამ ახლობლებს შიში აღუძრა. მათი დასკვნა ერთგვაროვანი იყო, — დუნკანი შეიშალა. ის არ ტიროდა, პირიქით, ცდილობდა გარშემო მყოფთათვის შეემსუბუქებინა დარდი. ქალი, ვისთვისაც მამაკაცებთან დაუსრულებელ რომანთა წყებაში მისი შვილები ერთადერთ ნათელ წერტილს წარმოადგენდნენ, ოლიმპიელის სიმშვიდით შეხვდა ბედის დარტყმას, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით... ის სერიოზულად გახდა ავად და ცხოვრების ბოლომდე ვერ მოინელა ეს ენით აუწერელი ტრაგედია. გაწამებულმა ქალმა სმას მიჰყო ხელი. ამის გამო გაზეთებში მას გვარიც კი შეუცვალეს და დუნკანის ნაცვლად დრანკენად მოიხსენიებდნენ, რაც ინგლისურად ნასვამს ნიშნავს.

და მაინც მას ეყო ნებისყოფა ბოლომდე გაეძლო ბედის კაპრიზებისთვის და ბოლომდე დამტკბარიყო ცხოვრებით.

ის ერთი იმათთაგანი იყო, ვინც თავად ირჩევდა მამაკაცებს, თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ირჩევდა გემოვნებით და გამორჩეულად, ბუდაპეშტში ესაა ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი, ულამაზესი ოსკარ ბერეჟი, რომელმაც თეატრალურ კარიერას დუნკანთან სიახლოვე არჩია; შემდეგ მწერალი და პედაგოგი ჰენრიკ ტოდე, მას მოჰყვა თეატრალური რეჟისორი გორდონ კრეგი, რომელმაც ამ კავშირისთვის სხვა კავშირი დაარღვია, — ის დანიშნული იყო მანამდე. ამ უიღბლო სიყვარულიდან აისედორამ ბედისგან პირველი საჩუქარი მიიღო უფროსი ქალიშვილის სახით, რომელსაც კელტური სახელი დეირდრე დაარქვა, რაც თარგმანში „დარდს, ნაღველს“ ნიშნავს (?!ძ. სწორედ მასზე მძიმე მშობიარობის გამო წამოცდა დუნკანს სიტყვები, რომლებიც შემდგომ ფემინისტებმა აიტაცეს და თავის ლოზუნგად აქციეს: „ვინ მოიფიქრა, რომ ქალმა ამგვარი ტანჯვით უნდა შვას, სიტყვაც არ გამაგონოთ არანაირ ქალთა ორგანიზაციაზე, ვიდრე ვინმე არ იზრუნებს იმაზე, რომ ეს პროცესი უმტკივნეულო გახდეს და შეწყდეს ეს უაზრო აგონია“.

1907 წელს ის სანქტ-პეტერბურგში ეცნობა სტანისლავსკის, ასევე გენიოსს და მშვენიერი გარეგნობის კაცს, თუმცა ეს მორიგი აპოლონი, ქალს არცთუ ორაზროვნად აგრძნობინებს, რომ მასში მხოლოდ თავისი იდეების იდეალურ განსხეულებას ხედავს და მეტს არაფერს. ფეხშიშველა როკვის ქალღმერთი კი ცოლიან კაცებთან თავისი თავბრუდამხვევი რომანებით კვლავ საზოგადოების ცნობიერებაში დაკანონებულ ტაბუს ანგრევს და აცამტვერებს... და კვლავ ეულად რჩება.

მისი ცხოვრება მამაკაცებთან დუელში გადიოდა, — ის მხოლოდ იმათ ანიჭებდა უპირატესობას, რომლებსაც ამორძალივით სძლევდა და წამოაჩოქებდა, ეს უკანასკნელნიც ხომ მხოლოდ მას ნებდებოდნენ, ვისაც ბრძოლაში ამარცხებდნენ. ურთიერთობაც ზუსტად იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენსაც ის მათზე უპირატესობას ფლობდა და მაშინვე წყდებოდა, როცა კი ეს უკანასკნელი სწორედ ამ უპირატესობის მტკიცებას იწყებდა.

სერგეი ესენინთან ურთიერთობა ამ მხრივაც გამორჩეული იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს უცნაური ქორწინება თარჯიმნის მონაწილეობით მიმდინარეობდა, რადგან ცოლქმარი არა ირიბი, არამედ პირდაპირი გაგებით სხვადასხვა ენაზე საუბრობდა. ერთმანეთის ალბათ ამიტომაც არ ესმოდათ, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ აისედორამ, საკუთარი მძიმე ბავშვობის გამო, პოეტი, რომელსაც ასევე მძიმე ხვედრი არგუნა ზეცამ, შვილივით შეიყვარა და მერე მუდამ დედობრივი მზრუნველობით უვლიდა ოქროსკულულებიან აპოლონს, რასაც ვერ ვიტყვით თავად პოეტზე, რომელსაც ხან უნაზესი გრძნობები ექალებოდა მასზე ბევრად ასაკოვანი ქალის მიმართ, ხანაც მის შემხედვარეს საოცარი სიშმაგე იპყრობდა და თავქუდმოგლეჯილი გაურბოდა. აისედორამ იგი ჯერ ევროპაში, შემდეგ კი ამერიკაში წაიყვანა, რომ ლოთბაზარა მეგობრებისგან და გაუთავებელი ბაქქანალიებისგან ეხსნა, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ილიმებოდა, როცა პირში ეუბნებოდნენ, რომ მდიდარ ბებრუხანაზე იქორწინა და მშვიდად უპასუხებდა: „Изидора прекраснейшая женщина, но врет не хуже Ваньки. Все ее банки и замки, о которых она нам пела в России, – вздор. Сидим без копеечки“.

უცნაური იყო მათი გაცნობაც. აისედორას ხელოვნებით მოხიბლულმა ესენინმა ფეხზე გაიხადა და რაღაც ველური ცეკვა შეასრულა, მერე მუხლები დაუკოცნა ქალს, რომელმაც ხელი გადაუსვა მის ოქროსფერ კულულებს და გაიფიქრა, — „ეს პატრიკია (მისი და ზინგერის გარდაცვლილი პირმშო), რომელსაც 25 წელი შეუსრულდა!..“; მერე წყნარად ჩაილაპარაკა: „ოქროსთმიანი ანგელოზი!“. პოეტი წამოდგა და ქალმა მას ახლა თვალებში ჩახედა. არავინ იცის რა ამოიკითხა მან მის უძირო ცისფერ თვალებში, ის კი ცნობილია, რომ ქალმა იქვე „შეცვალა ჩვენება“ და დაფეთებულმა წარმოსთქვა: „ეშმაკი!“.

ამით ყველაფერი იყო ნათქვამი!..

მათ სიყვარულზე დღემდე ლეგენდები დადის...

შეიტყო რა ესენინის გარდაცვალება, ადგილზე გაქვავებულმა ქალმა წაილუღლუღა: „ეს იყო სამი ყველაზე ბედნიერი წელი ჩემს ცხოვრებაში...!“, მერე კი მშვიდად დასძინა: „არადა, ის მართლაც გადარეული იყო!“. ამის შემდეგ საგრიმიოროში შევიდა და თავის სარკეს წითელი პომადით წააწერა: „ესენინი ანგელოზია“.

მაქსიმ გორკი წერს თავის შეხვედრაზე ესენინთან, პარიზში: „მოვიდა ესენინი, ოდნავ ნასვამი. მან დუნკანს სთხოვა ეცეკვა რუსი სტუმრებისთვის. ქალმა იცეკვა, ბოლოს კი მუხლი მოიყარა მის წინაშე. დაუდევრად წამომჯდარი ესენინი თითქმის ზოროტი მზერით მიაჩერდა ქალს. მგონია, რომ სწორედ ამ დროს დაიბადა მისი ლექსი: „Излюбили тебя, измызгали, невтерпежь. Что глядишь голубыми брызгами? Или в морду хошь…“.

ესენინის თბილისური თავგადასავლებიდან ერთი სწორედ აისედორას უკავშირდება. ის ხშირად ქეიფობდა თავის მეგობარ ცისფერყანწელებთან და ერთხელ, როცა ორთაჭალის სახაშეში ხაშის მოლოდინით გაწამებულმა პაოლო იაშვილმა თავისი ქუდი ჩააზარშა ქვაბში, ესენინმა ხურდის დაბრუნება და იმის დამტკიცება გადაწყვიტა, რომ თავადაც არანაკლები იუმორის და არტისტული ნიჭის პატრონი გახლდათ და ნაბახუსევ და მწერალთა კავშირის რბილ სავარძლებში წათვლემილ მეგობრებს ნამდვილი სპექტაკლი მოუწყო. ოქროსკულულება ანგელოზი... თუ ეშმაკი ძილბურანში ტიროდა და თავსშემოხვეულ მეგობრებს შესჩიოდა, — ჩემი დები, კაწია და შურა მესიზმრნენ, მათი ერთადერთი იმედი ხომ მე ვარ, ისინი ხელს იშვერდნენ და დახმარებას მთხოვდნენ, მე კი აქ ვარ და ვერ ვშველიო. პაოლო მაშინვე დაფაცურებულა და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კარი შტურმით აუღია, — მალე პოეტს წიგნი შეუკვეთეს და ავანსიც გადაუხადეს, რომელსაც რა თქმა უნდა შურა და კაწიამდე მიღწევა არ ეწერა, მან ალბათ იმავე სახაშეში „დალია სული“. პაოლოს ბოლომდე „არ უჭამია“ ეს და სამაგიეროც იმ საღამოსვე გადაუხდია, ტიციან ტაბიძესთან სუფრაზე, — ამ წუთას, რუსთაველზე შენს მოსაძებნად ჩამოსული აისედორა ვნახე, მისამართი მივეცი და სადაცაა გვეწვევაო. მერე დიდხანს ველარ აჯერებდა თურმე დაფეთებულ ესენინს, რომ იხუმრა, რადგან ის ყოველ გაფაჩუნებაზე შეშინებული იყურებოდა კარისკენ.

აისედორა კი მართლაც ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ პოეტი იმ დროს უკვე ბაქოში იყო.

მშვენიერ აისედორაზე დიდად არ ასახულა მისი მორიგი აპოლონის გაგრილება მისი პერსონის მიმართ. მან მბრძანებლურად ასწია ხელის მტევანი და დინჯად უჩვენა გზა პოეტს: „Go Home“ თავად კი ცეკვა-ცეკვით განაგრძო გზა მომავლისკენ და ეს გზა კვლავ და კვლავ მამაკაცთა დაპყრობილ გულებზე გადიოდა.

ქეთი მესხი

ახალი წიგნები

# გადაძახილი...

**„მაინც საქართველო ერქვა“, – ამ სახელწოდებით გამომცემლობა „ინტელექტმა“ მანანა ჩიტიშვილის ლექსების კრებული დასტამბა.**

მანანა ჩიტიშვილი ახალგორის რაიონის სოფელ კორინთაში დაიბადა. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და წლების მანძილზე რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა.

1981-94 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდა. დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ნიკოლოზ მიწიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება“ და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.




კრებულს გარდაცვლილი პოეტის ბორენა ჯაჭვლიანის წინასიტყვაობა აქვს წამძღვარებული. „ის გამუდმებით ლექსით ფიქრობს, უფრო სწორად – ლექსებად. გამუდმებით ბუტბუტებს ლექსის სტრიქონებს, ყოველ საგანს ლექსს უკავშირებს, დადის და ჩურჩულებს; დადის და ღიღინებს; როცა რაიმე ძალიან აწუხებს – ლექსით იბრუნებს სულს; როცა სტკივა – ლექსით იკურნება“, – წერს ბორენა ჯაჭვლიანი.

პოეტის გაუნელებელი ტკივილი – ქართულია, იგი ფიქრით ქსნის ხეობას დაატარებს და ესიყვარულება. მანანა ჩიტიშვილის ლექსი „გადაძახილი“, რომლითაც ეს კრებული იხსნება, სწორედ ამ ტკივილის გამოხატულებაა:

**„გვერდით მიდევს**
**ვერცხლისფერი ამულეტი,**
**თვალს ვარიდებ გადამტვრეულ,**
**პირბლაგვ მახვილს,**
**„რა უყავით,**
**რა უყავით მამულები?!“ –**
**ტირილის ხმით**
**ვიღაც გაღმით გამომძახის“...**

პოეტი ემუდარება ნისლს – ქსანს აღმა აჰყევ და ცოტა მეც წაგეხმარებიო...

**„მთვარისფერ ცრემლით მარები,**
**ნეტა შენ,**
**ჩემი ხეობის**
**ჭრილობებს წაეფარები“...**

ეს წიგნი მანანა ჩიტიშვილისეული გულიან-ძარღვიანი ლექსების ასხმაა, გადაძახილია – „სინათლით თუ სინატიფით, სათქმელის უბრალოებით“, უზარმაზარი სევდით გამთბარი.

**„მაინც საქართველო ერქვა“ – კრებულის რედაქტორია ბაჟუა ალუდაური, გარეკანის მხატვარი – გურამ ღლონტი.**

**წიგნი შეგიძლიათ შეიძინოთ გამომცემლობა „ინტელექტისა“ და „საქწიგნის“ მაღაზიებში.**

**თამარ შაიშმელაშვილი**

# კახეთი მთელი თავისი სიმაღლით...

**ახლახან გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა ისტორიის დირექტორის თამარ თამარაშვილის მონოგრაფია „კახეთი XX საუკუნის 50-იან წლებში“. 222-გვერდიან ამ გამოკვლევას საფუძვლად დაედო ავტორის მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაცული დისერტაცია.**

გამოკვლევა დაფუძნებულია მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზაზე. ავტორს გამოუყენებია ცენტრალური, კახეთის რაიონული და საპატრიარქოს არქივის მასალები, სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, რესპუბლიკურ და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები, რომელთა უმეტესობა ავტორმა პირველად შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში.

თ. თამარაშვილი პირველია, ვინც XX საუკუნის 50-იანი წლების კახეთის მხარის მეცნიერული შესწავლა კომპლექსურად მოახდინა, რითაც შეავსო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ხარვეზი.

ავტორმა წარმატებით შეძლო სრულყოფილად წარმოეჩინა ომისშემდგომი პერიოდის კახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება და ეჩვენებინა მისი ხვედრითი წილი რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის მოცულობაში. მან ქართველ მკვლევართა შორის ასევე პირველმა სრულყოფილად შეისწავლა კახეთის მხარეში იმ დროისათვის არსებული 10-ზე მეტი სარეწაო არტელის საქმიანობა, კონკრეტულად აღწერა მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია სახეობებისა და რაიონების მიხედვით, საინტერესოდ გააშუქა ლოპოტის მარმარილოს საბადოში პროდუქციის მოპოვება და დამუშავება, ხარისხი და მისი გამოყენება როგორც საქართველოში, ასევე ყოფილ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთის სახელმწიფოებში.




მოსაწონია კახეთის 9 რაიონის ეკონომიკური დახასიათება, აგრეთვე ზუსტი მონაცემების მოტანა იმის შესახებ, თუ რომელ რაიონში რამდენ ჰექტარს შეადგენდა ვენახის ფართობი, კარგად აქვს დახასიათებული კახეთში არსებული ღვინის 12 ქარხანა, საინტერესო მონაცემები აქვს მოტანილი იმათ საწარმოო სიმძლავრეებზე, კონკრეტულად გვიჩვენებს რამდენი ტონა ყურძნის გადამუშავება შეეძლო თითოეულ მათგანს და რა რაოდენობის ღვინოსა და ღვინის პროდუქციას უშვებდნენ.

მკითხველის ყურადღებას იქცევს აგრეთვე საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების გაშუქება კახეთში. ავტორს ცალკე საკითხებად აქვს განხილული: განათლება, თეატრი, მუზეუმები, სპორტი და რელიგია. ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლდება 5-6 ათეული წლის წინათ მომხდარი მოვლენები და ამბები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან უფრო საინტერესოდ და რომანტიკულადაც კი მოჩანს.

ქართველი ისტორიკოსებისთვის, ლექტორ-მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის თამარ თამარაშვილის მონოგრაფია – „კახეთი XX საუკუნის 50-იან წლებში“ საახალწლოდ ნამდვილად კარგი საჩუქარია.

**გელა ხუციშვილი**
**ისტორიის დოქტორი, პროფესორი**

ინფორმაცია

## პრეზიდენტი სომხურ ეკლესიას შობას ულოცავს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სომხური სამოციქულო ეკლესიას შობა მიულოცა.**

**– მინდა მივულოცო სომხურ სამოციქულო ეკლესიას შობის დღესასწაული და მინდა გითხრათ, რომ მართლაც ძალიან ვაფასებ თქვენი ეპისკოპოსის საქმიანობას, როგორც თანამოქალაქეების სულიერი მხარდამჭერის, ასევე ორი უძველესი ქრისტიანული ერის სომხეთისა და საქართველოს განვითარების საქმეში, – აღნიშნა სააკაშვილმა.**

**პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა საქართველოსა და სომხეთს შორის ისტორიულ მეგობრობის შესახებ და აღნიშნა, რომ იშვიათია, მსოფლიოში ქვეყნები, რომლებსაც ერთმანეთთან ათასწლოვანი მეგობრობის ისტორია და თანაარსებობა აკავშირებს.**

**შეგახსენებთ, რომ გუშინ სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ შობისა და ნათლისღების დღესასწაული აღნიშნა.**

## შობა ყველაზე ხანდაზმულ აკადემიკოსს მიულოცეს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური ყველაზე ხანდაზმულ აკადემიკოსს, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს ესტუმრნენ და დამდეგი შობა მიულოცეს.**

**აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი თითქმის 70 წელია მეცნიერებაში მოღვაწეობს და სხვადასხვა დროს მიღებული აქვს თითქმის ყველა სამეცნიერო ხარისხი და წოდება. იგი არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი.**

**ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი დღემდე აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში, ექსპერიმენტული მორფოლოგიის მიმართულებით. არის ალექსანდრე ნათიშვილის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. იგი 275 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორია.**

**სტუმრებმა ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს მადლობა გადაუხადეს ქართულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის და დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს.**

## საჩუქრები დევნილ ბავშვებს

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია თბილისში ჩაჩავას №6-ში მდებარე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტს ეწვია და დევნილ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცა.**

**– ჩვენ პატარებს ახალი წელი და დამდეგი შობის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცეთ. მათ საჩუქრები გადავეცით და იმედი მაქვს, რომ მოეწონებათ. პატარების გაბრწყინებული თვალები ჩვენთვის ბედნიერების მომტანია. აფხაზეთის მთავრობა ყოველთვის შეეცდება მათ გახარებას, – აღნიშნა ბარამიამ.**

## ზოოპარკის ხელმძღვანელობა ცხოველებისათვის მეწყვილეებს ეძებს

**2011 წლიდან თბილისის ზოოპარკში მარტოხელა ცხოველებზე იზრუნებენ. ამის შესახებ ზოოპარკის სამეცნიერო დირექტორმა დავით თაქთაქიშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, დღემდე ზოოპარკში მარტოდმარტოდ ბინადრობს ვეფხვი, ავაზა და ველის ტაპირი (ჩლიქოსანი ცხოველი სამხრეთ ამერიკიდან).**

**– წინასწარ ვერ გეტყვით, თუ რამდენად განხორციელდება ჩვენი ჩანაფიქრი. ჩვენთვის უცნობია, რომელი ზოოპარკი შეელევა და გაყიდის ამ ცხოველებს. თუმცა ჩვენი სურვილია, ველის ტაპირს დედალი მეწყვილე ჩამოვუყვანოთ, – აღნიშნა თაქთაქიშვილმა.**

**მისი თქმით, ასევე, დასაწყვილებელია მათ ზოოპარკში მობინადრე მამალი კავკასიური ირემი, დედალი უსურიის ვეფხვი, მამალი აზიური ლეოპარდი და სხვა.**

**სამომავლოდ, ასევე, იგეგმება, რომ ზოოპარკს შეემატებიან აქლემები. დავით თაქთაქიშვილის თქმით, ზოოპარკში დღემდე მობინადრე აქლემები ასაკის გამო დაიხოცნენ.**

## ოდესაში ცნობილი ბიზნესმენი მოკლეს

**ოდესაში ცნობილი ოდესელი ბიზნესმენი, უკრაინის მრეწველთა და მეწარმეთა პარტიის ლიდერი ალექსანდრე კოროზჩინსკი მოკლეს.**

**– მილიციაში მოვიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ ოდესის ოპერის თეატრთან სროლა ისმის. ადგილზე მისულმა მილიციელებმა ალექსანდრე კორობჩინსკი აღმოაჩინეს, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავალრიცხოვანი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში ჰქონდა მიყენებული, – იუწყებიან სამართალდამცავები.**

**დაჭრილი კორობჩინსკი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა საოპერაციო მაგიდაზე იგი გარდაიცვალა. ფაქტზე „განზრახ მკვლელობის მუხლით“ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავეთა ძებნა მიმდინარეობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ნომრის კარიკატურა



ინფორმაცია

# ქობალიას ერთდღიანი მინისტრები ცვლიან

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ პროექტში „მინისტრი ერთი დღით“ გამარჯვებული გამოავლინა.**

**მინისტრმა ვერა ქობალიამ საკუთარი კაბინეტი, ერთი დღით „ვუდვორფის“ სკოლის მე-12 კლასელს გიორგი ქიტიაშვილს დაუთმო.**

**„ერთი დღით მინისტრი“ ამბობს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დაკავშირება და მინისტრ ბაკურ კვეზერელთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა სეგმენტებსა და პროექტებზე საუბარი.**

**ქიტიაშვილის განმარტებით, სოფლის მეურნეობა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ტურიზმსაც უნდა დაეთმოს.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ამბობს, რომ პროექტში გამარჯვებულის გამოვლენა გაუჭირდა.**

**– დაინტერესება საკმაოდ დიდი იყო. მე-12 კლასელების მხრიდან შემოდიოდა წერილები, თუ რას გააკეთებდნენ ისინი, როცა ერთი დღით მინისტრი გახდებოდნენ. საბოლოოდ ერთი აბიტურიენტი გიორგი ქიტიაშვილის წერილი შევარჩიეთ, რომელმაც საკმაოდ კონკრეტულად დაწერა, რას გააკეთებდა მთელი დღის განმავლობაში.**

**ქიტიაშვილმა თავის პროექტში აღნიშნა, რომ სამსახურში მისვლისთანავე განიხილავდა წინა დღით სამინისტროში შემოსულ წერილებს, მათ შორის საინვესტიციო განცხადებსაც და ამის შემდეგ ამ საინვესტიციო პროექტებს საინვესტიციო სააგენტოს დირექტორთან ერთად განიხილავდა.**

**პროექტის მიხედვით, ქიტიაშვილმა ამის შემდეგ დალია ყავა და აღნიშნა, რომ დღის განმავლობაში ძალიან ხშირად სვამს ყავას. შემდეგ დაურეკა სოფლის მეურნეობის მინისტრს და მასთან ერთად განიხილა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები. ამის შემდეგ ის უკავშირდება ტურიზმის სააგენტოს ხელმძღვანელს და მასთანაც მნიშვნელოვან საკითხებზე ბჭობს, – განაცხადა ვერა ქობალიამ.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, „მინისტრი ერთი დღით“ პროექტში მონაწილეობა რამდენიმე ათეულმა მონაწილემ მიიღო. მათგან შეირჩა ოთხი მოსწავლე, რომელთა ნამუშევრებიც სამინისტროს ხელმძღვანელობამ ყველაზე საინტერესოდ მიიჩნია.**

ჯი-ეიჩ-ენი

# ვინ უფრო გენიალურია – მშობელი თუ შვილი?

**ნიკრისის ქარს ინტელექტუალთა დაავადებად მიიჩნევენ. ოჯახებში, სადაც თაობიდან თაობამდე ნიკრისის ქარით ავადდებიან, ინტელექტუალური დონე საშუალოზე მაღალია. ნიკრისის ქარის გამომწვევი რძის მჟავა, ასევე თავის ტვინის მუშაობის სტიმულირებასაც ახდენს.**



ტალანტის „გადასხმა“ შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას „დაკვეთილი გენიალობის“ შიში გვექნებოდა, რომელიც აუცილებლად ფუფუნების საგნად გადაიქცეოდა. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ რამდენიმე ასწლეულის მანძილზე კაცობრიობას ეს საშიშროება არ ემუქრება, რადგან გენიალობა ერთი კი არა, მილიონი გენის კომბინაციაა. იმის გაანალიზება, თუ რომელ გენთა კონკრეტულად როგორმა შეფარდებამ შექმნა და ვინჩი თუ ბეთჰოვენი, პრაქტიკულად შეუძლებელია. ცნობილია, რომ ნიჭიერ ხალხთა შვილები მემკვიდრეობით იღებენ არა მშობელთა გენების მთელ „თაიგულს“, არამედ მის ცალკეულ „ყვავილებს“. თუმცა, არც ესაა ცოტა. შემდგომ ყველაფერი გარემოებებსა და არჩევანზეა დამოკიდებული, რადგან მშობელთა გენები „თავისით“ როდი მჟღავნდებიან.

ამ მხრივ საგულისხმოა იოჰან სებასტიან ბახის ოჯახის ისტორია. თავად კომპოზიტორს სიცოცხლეში არც ტიტულები ჰქონია, არც ფული, თუმცა მის სიცოცხლეშივე ერთ-ერთ მის ვაჟიშვილს დიდ და სახელოვან კომპოზიტორად აღიარებდნენ. თავად იოჰან სებასტიანს კი შვილებსა და ნათესავებზე შეუდარებლად დიდი პატივი მხოლოდ გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ მიაგეს. ამის ბრალი იქნებ ისაა, რომ მისმა მუსიკამ დროს დიდად გაუსწრო. ანდა, იქნებ ბახი მარტო უდიდესი მუსიკოსი კი არა, არამედ ამასთან გენიალური მშობელიც იყო? აღმოჩნდა, რომ წარმატებულები უფრო ხშირად „არაღიარებული გენიოსების“ შვილები ხდებიან – ამ დროს მშობლები მთელ თავის ნიჭს შვილში „დებენ“. ამ მიდგომის პირობებში კი მცირედ ბუნებრივ მონაცემებსაც კი ძალიან დიდი შედეგის გამოღება შეუძლია. შემთხვევით როდია ნათქვამი: „არ არსებობს გენიალური ბავშვები, მაგრამ არიან გენიალური მშობლები“. იმ ოჯახებში კი, სადაც დედა ან მამა აღიარებულნი არიან, მთელი ყურადღება მათზე გადადის, ბავშვი კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მშობლის ჩრდილში ექცევა.

# მამაკაცური თავმოყვარეობის სათავე: რჩევები ქალბატონებს

**მშვენიერი სქესისა და ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ერთმანეთისა ხშირად ცუდად ესმით. ვიდრე ეს გაუგებრობები სასიყვარულო დუელის მდგენელ ნაწილად რჩებიან, ისინი ურთიერთობას გარკვეულ პიკანტურობას, სიმძაფრეს ანიჭებენ. მაგრამ ზოგჯერ იქმნება ისეთი ვითარება, როცა მამაკაცი ქალს უთანხმოებას არ პატიობს და... ურთიერთობებსაც ბოლო ელება.**

მამაკაცი ქალზე უფრო მეტად ფაფუკად მოსაპყრობი არსებაა. თანაც, თანამედროვე ვარიანტში – გაცილებით უფრო ინფანტილური, რაც იმითაა განპირობებული, რომ მისი ძველთაძველი საქმიანობა – ომი და ნადირობა – ამჟამად მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის სრულიად უცხო რამ არის, ხოლო საკუთარი „მეს“ დამტკიცების საშუალება არც თუ ბევრია. თითქმის ყველა მამაკაცის სულში პატარა ბიჭუნა, ერთგვარი პიტერ პენი ცოცხლობს, რომელსაც ცხოვრებასთანაც და ქალებთანაც თამაში სწყურია. ამიტომაა, კისრულობს, მამაკაცი ამას როგორც კაცის იდუმალ არსზე ძალადობას აღიქვამს (მეთაურები მას ისედაც ჰყოფნის), რის შედეგად, შესაძლოა, ამ ქალთან ურთიერთობების გაგრძელების სურვილი გაუქრეს. ამიტომ არის, რომ ბევრ მამაკაცს არ უყვარს ყვავილების მირთმევა იმ ქალბატონებისთვის, ვისთანაც ურთიერთობა უკვე ჩამოუყალიბდა. მას ჰგონია, რომ ასე მას მოქცევის გარკვეულ სტერეოტიპს ახვევენ თავს, აიძულებენ მასზე დამყარებული იმედების გამართლებას, რასაც მისი თავისუფლების მოყვარული და ცვალებადი ბუნება ვერ ეგუება. აქედან გამომდინარე ფსიქოლოგები ქალბატონებს ურჩევენ დროდადრო ცვალონ მოქცევის სტერეოტიპები, ნაკლებად გაიმეორონ თქმა: „ყველა ასე აკეთებს და შენც ასე მოიქეცი“, მოკლედ, ეცადონ ნაკლებად პროგნოზირებადნი იყვნენ საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობისას.

მამაკაცები ექიმებთან იშვიათად დადიან და, შესაძლებლობისდაგვარად, ბოლომდე ცდი-



რომ ნებისმიერ მამაკაცს ყველაზე მეტად დაცინვისა ეშინია – ეს ხომ მისი თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის ქონების უნარის დაკნინებაა. ამიტომ, ფსიქოლოგები ქალებს ურჩევენ: უფრთხილდით მამაკაცთა დაცინვას. ხუმრობა არ უნდა შეეხოს მის გარეგნობას, ინტიმურ შესაძლებლობებს, ოჯახის წევრებს, ფულის შოვნის უნარს... სია საკმაოდ ვრცელია.

მამაკაცის, როგორც მზვერავის, პირველაღმომჩენის, ექსპერიმენტატორის ბიოლოგიურმა ამოცანებმა მისი ტემპერამენტი ჩამოაყალიბა, რომელიც ძნელად ეგუება მოქცევის შტამპებსა და ყოფის ერთფეროვნებას. ამასთან, არის პარადოქსიც: ჯარი მაინც მამაკაცებისგან შედგება, რომელიც მეთაურს ემორჩილება და ცხოვრების მკაცრად რეგლამენტირებული წესი აქვს. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგიური მოძრავუნარიანობის წყალობით, მამაკაცები უფრო სწრაფად რეაგირებენ ვითარების შეცვლასა და მკაფიო სიტყვიერ გამონათქვამებზე, ამდენად დისციპლინის დამყარება მამაკაცებში გაცილებით ადვილია.

მიუხედავად ამისა, როცა „მეთაურის“ როლს საყვარელი ქალი

ლობენ მკურნალობისთვის თავის არიდებას. მიზეზი მარტივია: ისინი ტკივილს ქალებზე ნაკლებად იტანენ – მარტო მშობიარობა რად ღირს! გარდა ამისა, ექიმთან წასვლაზე თანხმობა მამაკაცთან ცხოვრებასთან ჭიდილში „დათმობას“, „წაგებას“ ნიშნავს. მით უმეტეს მამაკაცი არ დაიწყებს თავისი პრობლემების გარჩევას ქალთან, რომელიც მას არ მოსწონს! შეცოდება, თანაგრძნობა და სხვა მსგავსი გრძნობა, რომელთა გამოვლენა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში ხშირად სიყვარულის სინონიმებია, მამაკაცის ბუნებისთვის სულაც არ არის დამახასიათებელი. ამას თუნდაც საკმაოდ დაუნდობელი ხალხური თქმაც მოწმობს: „ქმარს ჯანმრთელი ცოლი უყვარს, ძმას კი – მდიდარი“. ამასთან დაკავშირებით, ფსიქოლოგები ქალბატონებს კიდევ ერთ რჩევას აძლევენ: მამაკაცის ჯანმრთელობის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ ქმართან შეიძლება, თანაც მხოლოდ მაშინ, როცა მას შექმნილი ვითარებიდან გამოსასვლელად პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას სთავაზობთ. ხოლო თუკი მამაკაცი უბრალოდ გეარშიყებათ, მის ჯანმრთელობაზე საუბარს სჯობს თავი აარიდოთ.

# „ბედნიერებისა“ და სხვა კაკლები



**არაბეთის ქვეყნებში ნიგოზს „ოთხ ტვინს“ უწოდებენ, რადგან მისი გული ძალიან ჰგავს ადამიანის თავის ქალის შიგთავსს. ამიტომაა, რომ ოდითგანვე სჯეროდათ, რომ ნიგოზი აზროვნებას უწყობს ხელს. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ძველი ბაბილონის ქურუმების მიერ უბრალო ხალხისთვის მისი ჭამა აკრძალული ჰქონდათ: გონიერი მდაბიონი დიდგვაროვნებს არაფერში სჭირდებოდათ.**

საერთოდ, ცნობილია კაკლების არაერთი სახეობა, რომელთა შორის ჩვენში სხვებზე უფრო მეტად პოპულარულებია თხილი და ფსტა (ბუსტული, ანუ „ფისტაშკა“). თხილი – დიეტოლოგთა უსაყვარლესი კაკალია, ვინაიდან მისი ჭამა, ნახშირწყალბადების დაბალი შემცველობის გამო ყველაზე მკაცრი დიეტის დროსაც შეიძლება გასუქების რისკის ფაქტორივი არარსებობის გამო. თხილი კარგად ხსნის დაღლილობას, დაბლა წევს წნევას, მარგებელია წინამდებარე ჯირკვლის დაავადებისას, სისხლძარღვთა ანთებისას და ვარიკოზული გაფართოების დროს.

ფსტას ჩინეთში „ბედნიერების კაკალს“ უწოდებენ, ვინაიდან მისი გამსკდარი ნაჭუჭი იქაურ ხალხს ღიმილს მოაგონებს. მის კაკლებს აფროდიზიაკურ თვისებებს მიაწერენ, თუმცა მეცნიერულად ეს ჯერ არავის დაუმტკიცებია. სამაგიეროდ კარგადაა ცნობილი, რომ ის სასარგებლოა მათთვის, ვინც გამოჯანმრთელების გზას ადგას, აგრეთვე ღვიძლის დაავადებათა დროს, გულისრევის შეგრძნებისას და გულთან დაკავშირებულ პრობლემათა პროფილაქტიკის მხრივ. რაც უფრო მწვანეა ფსტის გული, მით უფრო მწიფეა ის და უფრო გემრიელი.

## საზრიანი ვილი

**ერთ** მშვენიერ დღეს ლონდონის ზოოპარკიდან მაკაკა-რეზუსი ვილი გაქრა, რომელსაც ერთი კვირის შემდეგ ძლივს მიაგნეს და ისევ გალიაში ჩასვეს. ზოოპარკის მსახურებმა ყველა გისოსი და წყლით სავსე თხრილი საგულდაგულოდ შეამოწმეს, მაგრამ... იმავე ღამეს ვილი ისევ გაიპარა, პოლიცია კვლავ შეუდგა ავაზაკი მაიმუნის ძებნას, რომელსაც ხელმეორედ დაჭერის შემდეგ თვალთვალი დაუწყეს და გასაოცარი რამ ნახეს: გამთენიისას ვილიმ გადანახული ბანანი სამალავიდან (!) აიღო, სამაიმუნეს შემოვლებულ წყლით სავსე ფართო თხრილთან მიირბინა და ნუგბარის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. როგორც კი დიდმა ხარირემამ ვილი დაინახა, თხრილი გადაცურა და რეზუსს მიუახლოვდა. ვილიმ მას ბანანი სწრაფად ჩასჩურთა პირში, ზურგზე შეახტა და წყლის ზღუდეც მშვიდობიანად გადალახა...

## თავის საქმე ყველამ თავად იცის

**თხუთმეტ** ამერიკულ გაზეთში 1921 წლის 17 თებერვალს შემდეგი შინაარსის განცხადება გამოქვეყნდა: „ჩემთვის ერთი დოლარის გამოსაგზავნად თქვენ მხოლოდ ათი დღე დაგრჩათ! იჩქარეთ!! მისამართი...“

მეორე დღეს იგივე, ოღონდ ოდნავ შეცვლილი განცხადება იმავე გაზეთებში იმავე ადგილზე დაისტამბა: „ჩემთვის ერთი დოლარის გამოსაგზავნად თქვენ მხოლოდ ცხრა დღე დაგრჩათ! გამოგზავნეთ!! მისამართი...“

ასე მეორდებოდა ყოველდღე, ვიდრე 26 თებერვალს „სერია“ არ დასრულდა: „დღეს ბოლო დღეა,




როცა თქვენ ჩემთვის ერთი დოლარის გამოგზავნა შეგიძლიათ! ხვალ უკვე დაგვიანებული იქნება!! გამოგზავნეთ!!! მისამართი...“

უცნაური განცხადებებით პოლიცია დაინტერესდა, თუმცა ბევრი ძებნა არ დასჭირვებია – განცხადებებში ნაღდი მისამართი იყო მითითებული. კანონის წარმომადგენლებს ახალგაზრდა კაცი ღიმილით შეხვდა: ფულის სანაცვლოდ იგი არავის არაფერს ჰპირდებოდა, ხოლო თუ ვინმე გულუბრყვილოს მისთვის დოლარი არ ენანება, ეს მისი პირადი საქმეა. 30 ათასი დოლარის „ჰაერში გამკეთებლის“ მიმართ პოლიციამ ვერაფერი გააწყო, ვინაიდან კოდექსში არც ერთი მუხლი არ აღმოჩნდა, რომელიც ამ მართლაც უნიკალურ თაღლითობას მიუდგებოდა.

## წინდახედული გუატიტი



**ძნელი** წარმოსადგენია, მაგრამ ვენესუელის ტყეთა ბინადარ პატარა ჩიტუნია გუატიტის ისეთივე პრობლემა აწუხებს, როგორც მრავალ ჩვენს თანამოქალაქეს. ესაა... საცხოვრისის პრობლემა. ფრინველის სახლი, არც მეტი, არც ნაკლები... 50 კილოგრამს იწონის და 7-9 იზოლირებული (!) ოთახისგან შედგება. თითოეულ ასეთ ოთახში ცალკე ოჯახი ბინადრობს. სახლის ასაგებად გუატიტი სხვადასხვა მასალას – ქაღალდის ნახევებს, პოლიეთილენის პარკებს, კარდონის ნაგლეჯებს, ხმელ ტოტებსა და ფოთლებს იყენებს, ხოლო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბუდეს... გამოცვლილ გველის ტყავებს აფარებს!!

# ქალების სიმარდე

**ქალები მამაკაცებზე უფრო სწრაფად წყვეტენ მათ წინაშე დაყენებულ ამოცანებს. ამერიკელმა მეცნიერებმა ორიდან 90 წლის ასაკამდე მოხალისე გამოიკვლიეს. აღმოჩნდა, რომ წესი „ქალები მამაკაცებზე მარდები არიან“ მაშინ მოქმედებს, როცა დავალების შესრულება დროითაა შეზღუდული. თუ ქალს ეტყვიან, რომ, ვთქვათ, „საქმე ერთ საათშია გასაკეთებელი“, იგი მას მამაკაცზე სწრაფად შეასრულებს, მაგრამ თუ ეცოდინება, რომ დროში შეზღუდული არ არის, მაშინ მამაკაცთან შედარებით უარეს შედეგს აღწევს.**

**მაგრამ, ფემინისტი ქალების იმედგასაცრუებლად, ქალბატონთა უპირატესობის ახალი ნიუანსი სულაც არ აბათილებს ადრინდელ მეცნიერულ აღმოჩენებს: მამაკაცის თავის ტვინი ქალისაზე 10 პროცენტით დიდია, მამაკაცებში გენიალობა 5,5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქალებში, მაღალი ინტელექტი კი მამაკაცებში ორჯერ უფრო ხშირია.**

◉ ჭადრაკი

# საათებს ორშაბათს ჩართავენ




წლევანდელ სეზონს ქართველი მოჭადრაკეები ეროვნული ჩემპიონატით დაიწყებენ. ქალები 10 იანვარს ანაკლიაში შეიკრიბებიან. 13 მანდილოსანი (ნაზი პაიკიძე – 2455, სალომე მელია – 2449, ბელა ხოტენაშვილი – 2440, ლელა ჯავახიშვილი – 2438, სოფიკო ხუხაშვილი – 2437, ნინო ხურციძე – 2362 მაია ლომინეიშვილი – 2345, მაკა ფურცელაძე – 2323, მერი არაბიძე – 2315, სოფიო ნიკოლაძე – 2245, მარიამ დანელია – 2248) წრიული სისტემით დაუპირისპირდება ერთმანეთს მედლებისთვის. ტურნირის საპრიზო ფონდია 13500 ლარი. პირველ-მესამე ადგილებზე გასულთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

**ლაშა დიდია**

◉ კალათბურთი



# ცინცაძის ესტონური დუბლი

**„ტარტუ როკმა“, რომლის რიგებშიც საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძეც გამოდის, ამ სეზონში ბალტიის თასი მოიგო, რასაც ამ დღეებში ერთი ნადავლიც მიუმატა – ნაახალწლევს ესტონეთის თასი მოიპოვა.** ნახევარფინალში ცინცაძემ და მისმა თანაგუნდელებმა ტტუ 76:65 დაამარცხეს, „რაკვერემ“ ქვეყნის ჩემპიონ „კალევს“ აჯობა – 82:74. გადამწყვეტ პაექრობაში „ტარტუ როკმა“ იყოჩაღა და მეტოქეს 81:51 სძლია. ქართველმა კალათბურთელმა 22 წუთში 5 ქულით, ამდენივე პასითა და 2 მოხსნით გამოიჩინა თავი.

**გივი გაგუა**

◉ ჩოგბურთი

# მოგებაც, მარცხიც

**ჩინურ ქუანჭოუში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (50 ათასი დოლარი) თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამაც მოსინჯა ძალები.** მართალია, იგი მე-6 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ მსოფლიო რეიტინგით მასზე 80 საფეხურით დაბლა მდგომმა ჩინელმა შენნან სუნმა სტარტზევე აჯობა (7:5, 6:3). თუმცა კალაშნიკოვას ტურნირზე გამოსვლა ამით არ დაუსრულებია – იგი წყვილებშიც ასპარეზობს უკრაინელ იულია ბეიგელციგერთან ერთად. პირველ წრეში მათ მე-3 ნომრად განთესილი იაპონელები (აოიამა, ფუჯივარა) დაამარცხეს იოლად – 6:1, 6:2.



◉ ძიუდო

# ექვსნი – ბაქოს მასტერსზე



**ქართველ ძიუდოისტთა 6-კაციანი ნაკრები აზერბაიჯანის დედაქალაქში გაემგზავრება და ახალ სეზონს 15-16 იანვარს ბაქოს მასტერსით გახსნის.** ამ შეჯიბრებაზე პერსონალურად არიან მიწვეულნი ამირან პაპინაშვილი, დავით ასუმბანი (ორივე – 60 კგ), ლევან წიკლაური (81), ვარლამ ლიპარტელიანი (90), ლომერ ჭორჭოლიანი (100) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე წონა). ტურნირის საპრიზო ფონდია 200 ათასი დოლარი. ჩემპიონები 6-6 ათასს და 400-400 სარეიტინგო ქულას მიიღებენ. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოს რეიტინგში ლიპარტელიანი მეცხრეა, პაპინაშვილი – მე-11, ჭორჭოლიანი – მე-12, წიკლაური – მე-13, ასუმბანი – მე-16 და ხანჯალიაშვილი – 21-ე.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ოლიმპიზმი

# ჯერჯერობით ვერ მოილაპარაკეს



**შესაძლოა, გერმანელებმა, ფრანგებმა და ბრიტანელებმა 2014 წლის ზამთრისა და 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პირდაპირი რეპორტაჟები ვერ იხილონ.** საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშების ჩვენების უფლების შესყიდვაზე გერმანულ ტელეკომპანიებს უზარმაზარი თანხა მოსთხოვა – 180 მილიონი ევრო, მაშინ, როცა ბუნდესლიგის ერთი სეზონის გაშუქებისთვის 90 მილიონ ევროს იხდიან. სოკ-მა შეთანხმებას ჯერჯერობით მხოლოდ ესპანეთთან და იტალიასთან მიაღწია.

◉ რაგბი

# „ტელეგრაფის“ რჩეული

**საქართველოს ნაკრებისა და საფრანგეთის ჩემპიონ „კლერმონის“ წევრი დავით ზირაქაშვილი სპორტის სამინისტრომ საქართველოს 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა.** ქვეყნის ეროვნული გუნდის პირველხაზელი ამ დღეებში ინგლისის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, 2003 წლის მსოფლიოს თასის მფლობელმა ვილ გრინვუდმა ლონდონის გაზეთ „ტელეგრაფისთვის“ მიწოდებულ მსოფლიოს საუკეთესო ნაკრების სიაში ზირაქაშვილიც შეიყვანა. ბრიტანელმა მე-3 ნომრის პოზიციაზე ძირითად კანდიდატად ფრანგი ნიკოლას მასი, მის შემცვლელად კი ქართველი მორაგბე დაასახელა. საგულისხმოა, რომ დავითმა შარშან მსოფლიოს ნაკრებში ახალი ზელანდიის ოცნების გუნდის წინააღმდეგ იასპარეზა.



**ლელა ნინიძე**

◉ ინტერნეტიდან

## თანამდებობით ვერ მოხიბლეს

**რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი სერგეი ფურსენკო 43 წლის იტალიელ მსაჯს რობერტო როზეტის რუსეთის მსაჯთა კორპუსის თავკაცობას სთავაზობდა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.**



დიახ, იტალიელ არბიტრს უპირებდნენ რუსეთის ფეხბურთის კავშირის სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობას. ამჟამად ამ კომიტეტს ხელმძღვანელობს როსტოვის ოლქის გუბერნატორი ვლადიმირ ჩუბი. 2010 წლის ზაფხულში შექმნილი კომიტეტის სხდომა მხოლოდ ერთხელ, 2010 წლის დეკემბერში გაიმართა.

რობერტო როზეტი ითვლება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე იტალიელმა კარიერა დაამთავრა და სათავეში ჩაუდგა იტალიის ჩემპიონატის B სერიის მსაჯთა კორპუსს. რუსეთის ფეხბურთის კავშირში გაგზავნილ წერილში როზეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნდა, მთელი საქმიანობა B სერიაში წარმართოს.

## საუკეთესო სნაიპერების ათეულში

**წლევანდელი 4-5 იანვრის ღამეს ნბა-ს ისტორიაში პირველად ყველაზე შედეგიანი მოთამაშეების ათეულში მოხვდა „ლოს-ანჟელეს ლეიკერსის“ მცველი კობი ბრაიანტი. – „დეტროიტ პისტონსთან“ შეხვედრაში მან 17 ქულა მოიპოვა და კარიერაში დაგროვებული ქულებით – 26671 – გადაუსწრო დომინიკ უილკინსს.**



როგორც ნბა-ს ოფიციალური საიტი იტყობინება, 32 წლის ბრაიანტი კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში თამაშობს 1996 წლიდან (ყველა სეზონში „ლეიკერსის“ შემადგენლობაში). ამ ხნის განმავლობაში კალათბურთელმა ითამაშა 1056 მატჩი, ყოველ თამაშში საშუალოდ 25,3 ქულას აგროვებდა. როგორც ამბობენ, თუ კი კობი გააგრძელებს თამაშს და დანარჩენ 17 შეხვედრიდან ყოველ მატჩში 25,3 ქულას დააგროვებს, მაშინ 2010-2011 წლის სეზონის დამთავრებისას მის ანგარიშზე 27863 ქულა იქნება და ის საუკეთესო სნაიპერებს შორის მეექვსე ადგილზე აღმოჩნდება.

ამჟამად სნაიპერთა შორის ლიდერობენ კარიმ აბდულ-ჯაბარი – 38387 ქულა, კარლ მალოუნი – 36928 და მაიკლ ჯორდანი – 32393 ქულა.

## პორნომსახიობს გამოასწორებს?



**დიდი მეგოლფის ტაიგერ ვუდსის გზით სიარული გადაწყვიტა მეორე გერმანული დივიზიონის კლუბის „ფიურტის“ ფეხბურთელმა იან მაიერსბერგმა. ალბათ იცით, რომ სახელოვანი ამერიკელი მეგოლფე პორნოვარსკვლავების მოყვარულია და იცის, თუ რა მოხდა ამის გამო მის ოჯახში.**

და აი, მაიერსბერგმა გადაწყვიტა, არ ჩამორჩეს ვუდს და მიზანში ამოიღო პორნომსახიობი, ასეთები კი გერმანიაში უამრავია, სახელად ჟასმინი. 28 წლის ლამაზმანის საეჭვო წარსული არ ანაღვლებს ფეხბურთელს, რადგან მიაჩნია, რომ მისი კარიერა პორნოინდუსტრიაში დამთავრებულია. „მე მის შესახებ ყველაფერი ვიცი, თუმცა ჩვენი გაცნობის შემდეგ ის ამ საქმეს აღარ მისდევს“.

ჟასმინმა კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მან თავიდანვე უამბო იანს თავისი პიკანტური ფოტოგადაღებების შესახებ, „ახლა მე მხოლოდ მოდელად ვიმუშავებ“!

ნოემრის კარიკატურა



◎ ჩვენი კარაბადინი

# ასაკთან ერთად „ძილის ჰორმონი" ქვეითდება

## მელატონინი და თქვენი ტვინი




### რა არის მელატონინი?

ეს არის ჰორმონალური ნივთიერება, რომელსაც თქვენს ორგანიზმში გამოიმუშავებს ტვინის პატარა ჯირკვალი – ეპიფიზი. ეპიფიზი პირველად აღწერა ალექსანდრიელმა ექიმმა ჰეროფილმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 300 წლით ადრე, თავისი სახელწოდება კი მიიღო გალენისგან (ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნე), ვისაც ჯირკვლის ფორმა ფიჭვის გირჩას აგონებდა. XVII საუკუნეში რ.დეკარტი ეპიფიზს მიიჩნევდა „სულის სადგომის" როლს და მის ფუნქციებს უკავშირებდა მხედველობას, რაც მეტად საინტერესოა თანამედროვე ცოდნის თვალსაზრისით. ეპიფიზს „მესამე თვალსაც" უწოდებენ. ორგანიზმში ეპიფიზის ძირითადი ფუნქციებია: ორგანიზმის ცირკადული და სეზონური რიტმების რეგულაცია; სასქესო სისტემის რეგულაცია; ორგანიზმის ანტიოქსიდანტური დაცვა და სიმსივნის საწინააღმდეგო დაცვა. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ მელატონინის საშუალებით ეპიფიზი აწარმოებს სასიცოცხლო პროცესების რეგულაციას, აკონტროლებს ორგანიზმის ძირითად ფუნქციებსა და სისტემებს, მათ შორის ნერვული სისტემის საქმიანობასაც.

### მელატონინი და ძილი

**მელატონინი აუცილებელია ადამიანისთვის ღამის ძილის პროცესის ნორმალური ორგანიზაციისთვის, მას „ძილის ჰორმონსაც" კი უწოდებენ. ის არეგულირებს ძილის ხანგრძლივობასა და ხარისხს. ღამეში გამოიმუშავებს მელატონინის სადღეღამისო ნორმის დაახლოებით 70 პროცენტს.** მელატონინის ოდენობა იცვლება ადამიანის ასაკის შესაბამისად. ასაკთან ერთად, 40 წლიდან, მისი დონე თანდათან ეცემა. მელატონინის ფიზიოლოგიური დონის დაწევას მივყავართ ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოებისა და სისტემების ფუნქციების რეგულაციის სერიოზულ დარღვევებამდე. ორგანიზმში მელატონინის შემცველობის დაქვეითებას უკავშირებენ ხანდაზმულ ადამიანების ძილის ხშირ დარღვევას. ასევე ცნობილია, რომ ძილის დარღვევა – სისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამოვლინებაა. ეს დაავადებებია: არტერიული ჰიპერტონია, ტვინისა და გულის სისხლძარღვების ათეროსკლეროზი, ტვინის სისხლძარღვთა ქრონიკული უკმარისობა და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ძილის ხარისხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ტვინის დაავადებებთან, მეხსიერებასთან.

### მელატონინი, მეხსიერება და ინტელექტი

**მელატონინს აქვს გამოკვეთილი ანტიოქსიდანტური თვისებები, რის წყალობითაც ის იცავს ჩვენს ტვინს დეგენერატიული პროცესებისგან. საიდუმლო როდია, რომ ადამიანს წლებთან ერთად უუარესდება სწავლების პროცესი, უქვეითდება ყურადღება, უსუსტდება მეხსიერება.** ამგვარი სიმპტომები, რასაკვირველია, სხვადასხვა ორგანოებისა და სისტემების კომპლექსური ცვლილებების მხოლოდ ნაწილია, რაც ასაკთან ერთად პროგრესირებადი ხდება. ამის ხელშემწყობი მიზეზები საკმაოდ ბევრია, და მათგან ერთ-ერთი ყველაზე საალბათოა – ეპიფიზის ჯირკვლის მოქმედების დასუსტება და მელატონინის გამომუშავების შეზღუდვა, რასაც მოსდევს მისი დამცველი ფუნქციების დასუსტება. სამეცნიერო გამოკვლევებმა გამოავლინეს, რომ არა მხოლოდ ასაკთან, არამედ სხვა დაავადებებთან (მაგალითად, ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ტვინის ინსულტი, პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადებანი) დაკავშირებითაც, მელატონინის დონე ადამიანის სისხლში ეცემა. თანამედროვე მონაცემებით, მძიმე დაავადების ერთ-ერთი მიზეზი, რაც ვლინდება მეხსიერების გამოკვეთილი დაკარგვით (ალცჰაიმერის დაავადება), არის მელატონინის შემცველობის შემცირება ტვინის ქსოვილში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მელატონინი აუმჯობესებს მეხსიერებას და შემეცნებით პროცესებს.




### მელატონინი, ემოციები და სტრესი

**მელატონინი ორგანიზმზე არახელსაყრელი ზემოქმედებისგან, მათ შორის სტრესისგან, კომპლექსური დაცვის სისტემაში შედის. ნებისმიერ სტრესს თან ახლავს ეპიფიზის აქტიურობის გაძლიერება და მელატონინის სტრეს-დამცველი ფუნქციის მობილიზაცია.** ემოციური სფეროს სტაბილიზაციას ხელს უწყობს მელატონინის ქრონოტროპული აქტივობა, მისი მასინქრონებელი გავლენა ტვინის მოქმედების ბიორიტმზე. მელატონინის შემცველობის დაბალი დონის ადამიანებს დაბალი აქვთ წინააღმდეგობის უნარიც სტრესებისადმი და უფრო ხშირად უვითარდებათ დეპრესიული მდგომარეობა.

### მელატონინი და დეპრესია

**ქრონოტროპულ აქტიურობასთან არის დაკავშირებული მელატონინის ანტიდეპრესიული თვისებებიც.** დეპრესიის ზოგიერთი ვარიანტის საფუძველში შეიძლება იყოს ბიორიტმების შეუთანხმებლობა, ისევე როგორც ვრცელი დესინქრონოზის დროს, რომელსაც ასევე შეიძლება ახლდეს დეპრესიული გამოვლინება. ამ დაავადების პათოგენეზის ერთ-ერთი რგოლი გულისხმობს ტვინში სეროტონინისა და ნორადრენალინის დონის დაქვეითებას, რომლებიც ჩართული არიან მელატონინის სინთეზში.

### მელატონინი და შუქის რეჟიმი

**ცვლებისა და სავახტო შრომის დროს ხდება შინაგან ცირკადულ რიტმებსა და ძილის რეჟიმს შორის დესინქრონიზაცია. მოსახლეობის 5-10 პროცენტი ღამის ცვლაში მუშაობს.** ხალხის 60 პროცენტი, ვინც ცვლებსა და სავახტო საქმითაა დაკავებული, ჩივის მოთენთილობის, შრომის უნარის დაქვეითების, ყურადღების მოდუნების, გაფანტულობის შესახებ ღამის ცვლაში. ამ საჩივრებს საფუძვლად უდევს შუქის ზემოქმედება ღამის საათებში მელატონინის გამომუშავებასთან დაკავშირებით, როდესაც შუქის ზემოქმედებით ველარ ხდება ადამიანის ორგანიზმისთვის მისი საჭირო ოდენობით გამომუშავება. მელატონინის სეკრეციის რიტმის ძვრა ხდება საათობრივი სარტყელის გადაფრენის დროსაც. არსებობს აგრეთვე მელატონინის დონის ცვალებადობის სეზონური რიტმები.

### მელატონინის სამკურნალო თვისებები ტვინის ჯანმრთელობის სადარაჯოზე

**მელატონინის, როგორც სამკურნალო საშუალების, გამოყენებას დიდი მომავალი ელის.**

ამჟამად მთელი მსოფლიოს მეცნიერები აწარმოებენ გამოკვლევებს მელატონინის მრავალმხრივი თვისებების შესასწავლად. მრავალრიცხოვან გამოკვლევებში დადასტურებულია მელატონინის პრეპარატების მომაწესრიგებელი ზემოქმედება ძილზე, და იგი რეკომენდებულია ექიმების მიერ, როგორც ეფექტიანი პრეპარატი ძილის გაუმჯობესებისთვის. ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული, რომ მელატონინის პრეპარატები მომაწესრიგებელ გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე ვრცელი დესინქრონოზის შემთხვევებში (ძილის დარღვევა, გაღიზიანება და ა.შ.), რომლებიც უვითარდებათ ადამიანებს სხვადასხვა საათობრივ სარტყლებში მოგზაურობის დროს (ტურისტები, ავიალაინერების ეკიპაჟები, სპორტსმენები, ბიზნესმენები და სხვ.), აგრეთვე გვეხმარება ადვილად შევეგუოთ გარემო ბუნების ახალ პირობებს.

მელაქსენი ადამიანის მელატონინის სრული ანალოგია და იწარმოება მცენარეული წარმომავლობის ამინომჟავებისგან. მელაქსენს უშვებენ აბების სახით, რომლებიც შეიცავენ 3 მილიგრამ მელატონინს და აფთიაქები გასცემენ ექიმის რეცეპტის გარეშე.

მელაქსენი ეფექტიანად აწესრიგებს ძილს.

მელაქსენს უკვე ცამეტი წელია ეფექტიანად იყენებენ ჩვენი ექიმები ძილის დარღვევის მკურნალობისთვის. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ იმ ადამიანებს, ვისაც აწუხებს უძილობა და ღებულობენ მელაქსენს 1/2-დან 11/2 აბამდე საღამოს ძილის წინნახევარი საათით ადრე, უმცირდებათ დაძინების დრო, უუმჯობესდებათ ძილის ხარისხი, უმცირდებათ ღამით გაღვიძების რაოდენობა. უფრო მეტიც, გაღვიძების შემდეგ აღინიშნება საერთო გუნება-განწყობილების გაუმჯობესება, აქტიურობის ზრდა, მეხსიერების და ხასიათის გაუმჯობესება. მელაქსენის ძილის მომგვრელი ეფექტის გამოხატულება ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ინდივიდუალურ მგრძნობელობასა და პრეპარატის მიღების დოზაზე.

მელაქსენი – ძილის ნორმალიზაციის ოპტიმალური პრეპარატია გულსისხლძარღვთა დაავადების ადამიანებისთვის.

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ არტერიული ჰიპერტონიით დაავადებულების მიერ მელაქსენის პრეპარატის მიღება ჩვეულებრივი ჰიპოტენზიური საშუალებებით მკურნალობის ფონზე იწვევს ძილის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და არტერიული წნევის უფრო ეფექტიან ნორმალიზაციას. მელატონინი, როგორც წამალი, არსებითად არ არის ჰიპოტენზიური პრეპარატი, ე.ი. საშუალება მაღალი არტერიული წნევის მკურნალობისათვის. მაგრამ რამდენიმე სერიოზულ გამოკვლევაში დაადასტურეს, რომ მაღალი წნევის ადამიანების მიერ მელატონინი პრეპარატების სისტემატური მიღება ხელს უწყობს სისტოლიური და დიასტოლიური წნევის დაწევას. სისხლძარღვთა დაავადების ადამიანებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მელაქსენს კარგად იტანენ, იგი არ იწვევს სერიოზულ გვერდით ეფექტებს და კარგად ეხმარება ბევრ სამკურნალო საშუალებას.

მელაქსენი ძილის ნორმალიზაციის ოპტიმალური პრეპარატია იმ ავადმყოფებისთვის, ვისაც დარღვეული აქვს ტვინის სისხლის მიმოქცევა. მისი ეფექტიანობა და უსაფრთხოება. ამ შემთხვევაში დადასტურებულია მრავალი სამკურნალო და სამეცნიერო ცენტრის მიერ მოწყობილ გამოკვლევაში როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. 3 მილიგრამი მელაქსენის ძილის წინ 30 წუთით ადრე მიღების შემთხვევაში ორი კვირის განმავლობაში პაციენტებს უწესრიგდებოდათ ძილის რიტმი, უუმჯობესდებოდათ მისი ხარისხი და ხანგრძლივობა, უქრებოდათ დღისით მძინარობა. პრეპარატი კარგად ეხამებოდა სხვა სამკურნალო საშუალებებს, რასაც პაციენტებს უნიშნავდნენ. ძილის ბევრი სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, მელაქსენი არ იწვევს სუნთქვის შეჩერებას ძილის დროს (აპნოეძ, ამიტომ არის ძილის დარღვევის მკურნალობის არჩევანი იმ ადამიანებისთვის, ვისაც აწუხებს აპნოე ძილში და იმ ავადმყოფებისთვის, ვისაც დარღვეული აქვს ტვინის სისხლის მიმოქცევა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვეთილი ანტიოქსიდანტური თვისებების წყალობით მელატონინის პრეპარატ მელაქსენს შეუძლია დაიცვას ტვინი იშემიისგან.

ЗДОРОВЬЕ

ხსოვნა

# ბორის გადელია



**თუ ვინმეზე გარდაცვალების შემდეგ იტყვიან, იგი მარტო თავის თავსა და ოჯახს არ მოკვდომიაო, ერთი მათგანი უთუოდ იქნება საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, განგების მიერ მართლაც შესანატრი ადამიანური და საქმიანი თვისებებით უხვად დაჯილდოებული პიროვნება ბორის გადელია.**

**იგი 1936 წლის 2 თებერვალს დაიბადა ქ. სენაკში. სოხუმის ინდუსტრიულ-სამშენებლო ტექნიკუმისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თავისი სპეციალობით – მშენებელ ინჟინრად მუშაობდა აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების სხვადასხვა საბჭოთა მეურნეობის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხაკაიას მეორე სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, 1975-1986 წლებში იყო ჯერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2 ტრესტის ხობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, მერე კი – ამავე სამინისტროს მარნეულის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ხოლო 1987 წლიდან 1994 წლამდე ხელმძღვანელობდა საქსოფლქიმიის გარდაბნის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს. 1995 წლიდან პენსიონერი იყო.**

**გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი ამ მართლაც დიდებულ პიროვნებასა და მეგობარს, ნაღდ მამულიშვილს, მოქალაქესა და პატრიოტს, ხელმძღვანელისთვის აუცილებელი თვისებების მქონეს, თანამშრომლებისადმი მეტად მომთხოვნსა და პრინციპულს, მაგრამ საჭიროებისას მათდამი საოცრად ყურადღებიანსა და თანამდგომს უმუშავნია, დამსახურებული ავტორიტეტით, სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.**

**სწორედ მისთვის ორგანულად დამახასიათებელი ამ თვისებების გამო ვთქვით, მარტო თავის თავსა და ოჯახს არ მოკვდომიაო ბატონი ბორისი: ასეთი ადამიანები, იმის მიუხედავად, თანამდებობრივად რა იერარქიულ საფეხურზე დგანან, სწორედაც რომ, ქვეყანას უკვდებიან, რადგან მისნაირებით არის ძლიერი საზოგადოება.**

**ეს უთუოდ იმის შედეგიც იყო, რომ მრავალშვილიან ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ბატონმა ბორისმა პატარაობიდანვე კარგად იცოდა ნაყოფიერი, კეთილსინდისიერი შრომისა და ურთიერთსიყვარულის, თანადგომისა და ურთიერთგატანის ფასი.**

**ამიტომაც იყო იგი კარგი ხელმძღვანელიც და მეოჯახეც, საუცხოო მეუღლეც, ბაბუაც და მეგობარიც, კარგი შვილების კარგი მამაც და თავისი ქვეყნის კარგი შვილიც.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, ასე რომ გექვირფასებოდა. შენი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.**

**მეგობრებისა და ამხანაგების ჯგუფი**

---

**ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ოჯახის მეგობარი**
**ბორის გადელია**
**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**მარინა კანდელაკი, ჯამბულ წულაია, ვაჟა მსხილაძე, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ დემურ, აპოლონ და თამაზ გადელიებს ძმის**
**ბორის გადელიას**
**გარდაცვალების გამო.**

---

**ვიტალი ხაზარაძე და ფატი ნიჟარაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი**
**ბორის გადელია**
**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ალექსანდრე ხაზარაძე და ნინო თუხარელი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი დემურ გადელიას ძმა**
**ბორის გადელია**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ვიქტორ ყიფიანი და სოფიო ხაზარაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონ დემურ გადელიას ძმა**
**ბორის გადელია**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა სამძიმარს უცხადებს დემურ გადელიას ძმის**
**ბორის გადელიას**
**გარდაცვალების გამო.**

---

**გურამ გუნავა ოჯახით იუწყება**
**ბორის გადელიას**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ღრმა მწუხარებაში მყოფ ძმებს დემურ, აპოლონ გადელიებს და განსვენებულის ოჯახის წევრებს.**

---

**ზურაბ და ლევან ბაშელეიშვილები, დიანა, გიგა და დავით ბაშელეიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის**
**მიხეილ ბაშელეიშვილის**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ვალიდა მახარაძე, გრამიტონ კვარაცხელია, თეიმურაზ და ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის**
**ამირან დანიელის ძე კვარაცხელიას**
**გარდაცვალებას. პანაშვიდი 8. I, 16 სთ. გამოსვენება 9.01, 14 სთ. ვაზისუბანი, IV მიკრორაიონი, II კვარტალი, II კორპუსი.**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● XIX საუკუნეში სახანძრო რაზმების თითოეულ დანაყოფში 75 რიგით, 6 მეეტლე და 6 საზიდარი შედიოდა.

● ლას-ვეგასი დღეს ყველასათვის ცნობილია სათამაშო სახლებით, გასული საუკუნის 60-იან წლებში კი ნევადის უდაბნოში ამერიკელები ჩადიოდნენ უცნაური სანახაობის სანახავად — ეს იყო „ატომური სოკოები“ ატომური ბომბის აფეთქების დროს.



● სერბმა ფიზიკოსმა, პროფესორმა 14000 პლასტმასის ბოთლი შეაგროვა და ამ უცნაური მასალით მყარი და გამძლე სახლი აიშენა.

● დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ 900.000 დოლარის ოდენობის კომპენსაცია გადაუხადა მბეჭდავ გოგონას, რომელმაც არასამუშაო საათებში ტექსტის აკრეფისას თითი მოიტეხა და დეპრესიაში ჩავარდა.

● ესტონეთში სამჯერ დააკავეს ბრმა მძღოლი, რომელიც ნასვამი მართავდა ავტომობილს. უცნაური ის არის, რომ მას კანონიერად აქვს მოპოვებული მართვის უფლება.

● პარიზში არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც მოღალატე მამაკაცებს უწევს სამსახურს. სააგენტოს თანამშრომელი საჭირო შემთხვევაში აცნობებს ცოლს, რომ მისი მეუღლე გამოიძახეს სასწრაფო თათბირზე, რომელიც დილამდე გაჭიანურდება. ერთი მომსახურება 19 ევრო ღირს.

● 1906 წელს რადიოტელეგრაფისტთა საერთაშორისო კონფერენციამ უბედურების საერთაშორისო სიგნალად დაამტკიცა აბრევიატურა S0S, მაგრამ ყველა გემსა და ხომალდზე მისი გამოყენება მხოლოდ 1921 წლის შემდეგ დაიწყეს, კერძოდ, გემ „ტიტანიკის“ დაღუპვის შემდეგ.

● ამერიგო ვესპუჩი დიდხანს მუშაობდა ბანკირად მედიჩების სახლში, ფლორენციაში, 1493 წელს კი — სევილიისა და კადისის ფილიალებში. 1497-1498 წლებში მან პირველად იმოგზაურა ოკეანის გაღმა, რომლის დროსაც კანარის კუნძულებს მიაღწია და მის სახელს დღემდე ატარებს კონტინენტი ამერიკა.

● 1937 წელს პოლონეთის ფოსტამ გამოსცა მარკა, რომელზეც კონვენტის თავმჯდომარე ჯორჯ ვაშინგტონი გამოსახული იყო ამერიკის შეერთებული შტატების დროშით. სამწუხაროდ, მხატვარმა ფაქტობრივი შეცდომა დაუშვა და ერთ-ერთი დეტალი ისე გამოსახა, როგორც ის ჩვეულებრივ ხედავდა. შეცდომა კი ის იყო, რომ დროშაზე 48 ვარსკვლავი იყო, ნაცვლად ვაშინგტონის გუბერნატორობის დროინდელი 13-ისა.

● XVI-XVII საუკუნეებში ესპანელებს ამერიკაში ვერცხლისწყალი გადაჰქონდათ, რათა წიაღისეულიდან ოქრო და ვერცხლი გამოეყოთ.

● 1962 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფოსტამ გაერთიანებული ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად მცირე ტირაჟით გამოსცა მარკა, რომელიც წუნით დაიბეჭდა. ვინმე ლეონიდ შარმანმა ამით გამდიდრება გადაწყვიტა. სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად, წუნიანი მარკები დიდი ტირაჟით დაბეჭდეს.

● ფრანგულ ალფაბეტში ერთადერთი ბერძნული ასოა — Y.

● ამ შარვალს ამერიკაში გადასახლებული ჰოლანდიელები იცვამდნენ ეროვნული შეჯიბრების, გოლფის თამაშის დროს. მას კარგად ესადაგებოდა მაღალყელიანი წინდა. ასეთ სამოსში იოლი იყო სპორტულ მოედანზე სირბილი. ამ შარვალს გალიფე ჰქვია.

● მეკობრეებს ფრენსის დრეიკს, ჯონ ჰაუკინსს, ჰენრი მორგანსა და ჯორჯ კლიფორდს რაინდის წოდება ჰქონდათ.

● ძველი რუსეთის ძირითად ექსპორტს ბეწვეული წარმოადგენდა, მეორე ადგილზე იყო ცვილი, მესამეზე — თაფლი.

● 1955 წელს ლუდის ჩამოსასხმელი ქარხნის მფლობელმა გინესმა პირველი წიგნი გამოსცა, ახლა ის მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდის.

● XV საუკუნეში ნიურნბერგელმა ვაჭარმა მარტინ ბეჰაიმმა გამოიგონა გლობუსი, რომელიც შედგენილია ძველი ბერძენი გეოგრაფის, პტოლომეოსის რუკების მიხედვით, აგრეთვე, გათვალისწინებულია მარკო პოლოსა და სხვათა მიერ მოპოვებული მასალები.

● იორდანიის ქალაქი ომანი შვიდ ბორცვზეა გაშენებული, რომაელთა ბატონობის დროს ამ ქალაქს ფილადელფია ერქვა.

● 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე პერიოდის დღეები, ფაქტობრივად, არ არსებობდა, რადგან პაპმა გრიგოლ XIII-მ ამ წელს გრიგორიანული კალენდარი შემოიღო.

● მუსტაფა ქემალ ათათურქის ერთი ქალიშვილი ისტორიკოსი გახდა, მეორე — მფრინავი, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი იყო.

## დღის კალენდარი

### 30 დეკემბერი

### დაიბადნენ:



ამოდის 07.28
ჩადის 16.45



ამოდის 04.03
ჩადის 13.25

**1768 — ჟოზეფ ბონაპარტე,** ნაპოლეონ ბონაპარტეს ძმა, ესპანეთის მეფედ დასმული ძმის მიერ. გარდაიცვალა 1852 წელს.

**1800 — მილარდ ფილმორი,** აშშ-ს მე-13 პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1882 წელს.

**1886 — ლადო კავსაძე,** გამოჩენილი მომღერალი. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1899 — ალექსანდრე აბულაძე,** ბიოქიმიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გარდაიცვალა 1971 წელს.

**1903 — შალვა აზმაიფარაშვილი,** კომპოზიტორი და დირიჟორი. გარდაიცვალა 1957 წელს.

**1916 — პაულ კერესი,** ესტონელი მოჭადრაკე. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1925 — ჯერალდ დარელი,** ინგლისელი ზოოლოგი და მწერალი. გარდაიცვალა 1955 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1920 — კოლჩაკი,** მეფის რუსეთის ადმირალი.

**1943 — ნიკოლა ტესლა,** გამომგონებელი რადიოტექნიკისა და ელექტროტექნიკის დარგში. მოღვაწეობდა უნგრეთში, საფრანგეთში და აშშ-ში.

**1963 — ილია სიხარულიძე,** საბავშვო პოეტი.

**1989 — ხიროხიტო,** იაპონიის იმპერატორი.

### მოვლენები:

**1610 წელი** — იტალიელმა ასტრონომმა გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის პირველი სამი თანამგზავრი: იო, ევროპა და განიმედი.

**1914 წელი** — პანამის არხში პირველმა ხომალდმა გაცურა.

**1920 წელი** — ადმირალი კოლჩაკი ბოლშევიკებმა დახვრიტეს ქ. ირკუტსკში.

**1927 წელი** — ამოქმედდა ლონდონ-ნიუ-იორკის სატელეფონო სამსახური.

**1932 წელი** — აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰენრი სტიმსონმა ჩინეთსა და იაპონიას ნოტა გაუგზავნა, რომელიც ცნობილია, როგორც „სტიმსონის დოქტრინა“. მან გააკიცხა იაპონიის აგრესია მანჯურიაში და განაცხადა, რომ აშშ არასოდეს აღიარებს იაპონიის მიერ ძალით მიერთებულ ტერიტორიას.

**1938 წელი** — ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გამოიტანა მეიერჰოლდის სახელობის თეატრის ლიკვიდაციის დადგენილება, რის შემდეგაც, თეატრის რეჟისორი მეირჰოლდი და მისი ცოლი გულაგის ბანაკებში დაიღუპნენ.

**1947 წელი** — ჯორჯ მარშალი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი გახდა.

**1953 წელი** — პრეზიდენტმა ტრუმენმა განაცხადა აშშ-ში წყალბადის ბომბის არსებობის შესახებ.

**1989 წელი** — პარიზში მუშაობა დაიწყო საერთაშორისო კონფერენციამ ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა 149 ქვეყანა.

**მედიანიუსი**

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 იანვარს**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 — +8 |
| ქუთაისი. | +7 — +14 |
| ბათუმი. | +8 — +14 |
| ზუგდიდი. | +4 — +8 |
| თელავი. | -1 — +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

გალეწილი მთვრალი ტიპი ქუჩაში გდია და განძრევის თავი არა აქვს.

— ასე ღორივით სად გამოტყვერი? — ეკითხება გამვლელი.

— მადლობა ღმერთს, — ამოილუღლუღა მთვრალმა, — მაშ მთვრალი ვყოფილვარ? მე კიდევ მეგონა, მანქანამ დამარტყა-მეთქი.



* * *

— რატომ გვყავს ჩვენ, რუსებს, ასეთი ლამაზი ქალები და ასეთი შეუხედავი მანქანები?

— იმიტომ, რომ მანქანებს კოსმეტიკის გამოყენება არ შეუძლიათ.

* * *

რამდენი ხანია, ამქვეყნად ვცხოვრობ და დღემდე არ ვიცი: მაინც როგორია იგი — 1 იანვარი?

* * *

ინდოეთსა და ჩინეთს შორის ომში ის ქვეყანა გაიმარჯვებს, რომელიც უფრო სწრაფად დანებდება.

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.